

ნიშადური



ქართული
ლიტერატურა

№ 51

საქართველოს ჟურნალი

№ 51

წირველ ივლისიდან „ნიშადურის“ გზაუნა მოესწოთ იმათ, რომელთაც სვედრი ფული არ შემოუტანიათ.

ქართული ხელმოწევა



დღევანდელი სოფლის ყოფა, ა. მრეელიშვილის ნახატი.

კ ი ს თ ვ ი ს ?

რატომ მივდივარ მე სამზღვარ-გარე,
რა მინდა იქა, რა დამრჩენია?
როცა იღრჩვება სამზობლო მხარე. —
სისხლი ცრემლითა ამოსდენია.

სტირიან ირგვლივ უბედურები,
შემწე არა ჰყავსთ, ნუგეშის მცემი, —
მე კი უცხოეთს მივეშურები,
თითქოს იქ იყოს სამზობლო ჩემი!..

გიორგი გვაზავა.

სოფელს მისედეთ!

(შემდეგი)

მოდკობის დროს, უარს ვერაფერს იტყვის უფელაზე მეტად დასარაღდა და უფელაზე მეტი ვაგა განიდა და თავად-აზნაურობამ. საუკუნეებით ჩაკრული, ცარცული გლეხი აღსდგა და შეებრძოლა იმას, ვინც გვერდში უდგა, იმ შტერს, რომელსაც თავლით ხელად და რომლის დამარცხებაც ადვილი იყო. გლეხი მძინარე ვეშაივით შეინძრა, დაიდრიალა და თავზარი დასცა არე-მარეს. ამ ვეშაშს მიუთითეს თავად-აზნაურობაზე, როგორც ერთადერთ მის შტერზე, ისიც ეცა მის გამძინარეებულად. მას არ უთხრეს, რომ თავად-აზნაურობას სხვა უხილავი ციხესიმაგრე აქვს, რომელსაც ის ამოფარავს და უწინარეს უფელის ამ ციხესიმაგრის დანგრევა საჭიროა, მას არ უთხრეს, რომ ერთი ხელის მოქნივით, ერთი თოფით, ერთი ღრი თავადის მოკვლით თავის მიზანს ვერ მიაღწევს, მონურ უღლიდან თავს ვერ განთავისუფლებს, რომ საჭიროა ბრძოლა შეგნებულად, თანდათანობით, ხანგრძლივი და შეუზღვარი. მას უთხრეს: დაჭკა, დაჭხრცე თავად-აზნაურობა და ადვილ-მამული, რასაც თავლით ქნედავ, შენი იქნება, გაჭირვებიდან ამხვავლ და შენი თავის ბატონი იქნები. გლეხიც მიესია თავად-აზნაურობას და მუსრი გააფლო.

ვის ეღებო ბრალი ამ უკუღმართად დატრიალებულ საქმეში? ვისაც გინდათ, მხალხლ გლეხს არა. რა მოეთხოვება გლეხს, დაზარალებულს, დაბოხებულს, შირტუყვად ქცეულს ადამიანს, მაშინ როდესაც ჩვენში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს ეგონათ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის მისხობით, რუსეთში პოლიტიკური და სოციალური რევოლუციებს ერთად მოვახდენთ.

ეს იცის კარგად უფელამ, იცის აკრეთვე ჩვენმა თავად-აზნაურობამ და გვეგონა, რომ თავად-აზნაურობა შუარს არ იბიებდა, მაგიერს არ გადუხდიდა გლეხს, და თავის მოთმინებას მოთმინებოთვე დაგვირგვინებდა, მით უმეტეს რომ გულში არ შეიძლება არა გრძობადეს, რომ ნებისთ თუ უნებლიეთ ის დიასაც დამნაშავეა გლეხთან, რომ გლეხი მართალია, როდესაც ის თხოვლობს მიწას და მხალხლ მიწას.

ასე გვეგონა, მაგრამ მწარედ მოვსტუყვდით. თავად-აზნაურობის მოთმინება არ უფოთლა სულგრძელი ადამიანის მოთმინება, ეს მოთმინება სიმბოლოს შედეგი უფოთლა. შეეშინდა—მოითმინა, ძალა თავისკენ დაინახა და ძირს დავარდნილი მოამქეს უფელზე თუნი დასჭირა.

სხვასთან ერთად ისიცა სხვის გლეხს, სხვასთან ერთად ისიც „აჭკვიანებს“, სხვებთან ერთად ისიც ინაზღურებს სამი-ათხი წლის უარადს.

გლეხი დღეს მოგაკონებთ მინდობში გამრთხლ კურდღელს, რომელსაც მისდევან და მიჭევირთან ქვეითნი,

ცხენსები, მწევრები და მეძებრები. **ეროვნული**
 გლეხმა აღარ იცის, ვის გაეჭმას, ვისაზნაურებს, ვის შეათაროს თავი, ვის სთხოვს პარტიებს, ვისგან მიიღოს თანაგრძობის სიტყვა.

სამი წლის განმავლობაში გლეხს დალა არ გაუღია, სამი წელიწადის საბადახეებით უსსეიდლოდ სარკებლობდა, სამი წელიწადი უბაყოლ ტყეებსა სჩეხდა, მაგრამ ჭირხანულით ბეღლები არ აუვისია, სახლები და დარბაზები არ დაუდგავს, არც არა გაუიღინია რა და დღეს არც არაფერი აბადია. სამი წლის ანგარიში კი გლეხს ერთ დღეს მისთხოვს.

და რადგანაც გლეხმა ნებით არ მისცა, უკეთ რომ ვსთქვათ, რადგან ვერ მისცა. თავად-აზნაურობამც და მთავრობამც „პროტოკოლებს“ მიჭევეს ხელი.

ნუ გგონიათ რომ „პროტოკოლი“ სასამართლოში მიდიოდა, იქ მისამართლუ განჩევდა, გადასწვევტიმდა და პროტოკოლის შემდგენელს „ადმინისტრაციულ ფურცელს“ აძლევდა. არა, ეს ძნელიც იყო და შიკრიც. „პროტოკოლით“ მიდიოდა სოფელში მაცხის უფროსი, ბაჭყალი და ხშირად უბრძოლ მამასხლისიც.


უფელაზე მეტი უსამართლო და უსამართლო ტყის პროტოკოლი იყო. წამოვიდოდა შემამიყუ და ინივლებდა პოლიციასთან: ამა და ამ სოფელმა ესა და ეს ტყე მოძრობის დროს გამოჩეხა.

ეს კმაროდა, რომ შემდგარიყო იმ სოფელზე ხშირად ასი, ორასი თუმხის „პროტოკოლი“. ვისაც ტყე ამათი, ოცი წლის წინად თვითონ გაეჩეხა, ე. ი. გლეხებისთვის ბაყოლ მიეცა, ისიც კი ადგენდა „პროტოკოლს“

როგორც „ზეკუდიის“ ისე „პროტოკოლის“ სახელი გლეხმა კარგად იცის. ერთ მშეუნიერ დღეს სოფელს მიადგებოდა ბაჭყალი, ან მთავრობის მიერ დაუენებული მამასხლისი ათი, თხუთმეტი სტრახნიკით, ან კახაკით და სხვამ სოფელი „პროტოკოლის“ ფუფს სრულიად არ გადინდიდა, სოფლიდან თუხს არ გადადგამდა. იმ დღეებში სოფლებში სოფლისა და გომორის სცოდნობა იდგა. ამდენ ხალხისა და ცხენების ჭამას რომ თავი დავანებოთ, მუშაობა სწელებოდა, ქალები ტყეებში ინიზნებოდა, მამაკაცებს მიჭეწნდათ ახლო-მასლო დაბებსა და ქადაქებში ქათამი, პატი, ცხვარი, ძროხა, კამბეჩი, ხარი და ქათამს ორ შაურად ჭეიდდა, ცხვარს ოთხ აბაზად, ძროხას სამ მანათად, სხვამ თავის მხედრს ფუფს არ შეაკრავებდა.

ერთს სოფელში ბაჭყულს მოურეკეს რაც კი რამ საქნელი ჭეუფათ და უთხრეს: აი, ბატონო, ეს საქნელი, დაჭეიდე როგორც გინდა და შენი ფული აილე, ამაზე მეტი ჩვენ დარა შეგვიძლიან რა. ბაჭყალიც სწორედ ისე მოიქცა, ჩარევა გარში და სჯარო ვაჭრობა გამართა.

— ერთ სოფელს ვახდევინებდი სამოც თუმხის— გაიმობოთ მთავრობისგან დაუენებული ერთ-ერთი მამას-



ხდისი—მივედი ექვსი სტრახნიკით. სავი დღე ვიდექ იმთ ხარჯზე, სოფელში დიდი შიმშილობა იყო, ღუკმას იკლებდნენ და ჩვენ გავჭმევდნენ, მაგრამ სავი დღის განმავლობაში ერთი გროშიც ვერ მოვაკრფვე. გული მომივიდა, მეგონა, ჯიუტობენ მეთქი და მეათზე დღეს მათხებობით მთელი სოფელი ერთ ალაკას მოვრეკე. ჯერ გავჯავრდი, ვუფერე, ბოლოს ერთ გლეხს ჩავატყვრდი სხეში: ჩაცვიფრული, მიღეული თვალები, გამხმარი, გაუფითებული ზირის კანი, წაწვეტებული ცხვირი, მოშვიბული სხეული, მთელ იმის აჩნებაზე ნათლად ეწერა: **შიმშილი**. დავატყვრდი მეორეს, მესამეს, იგივე გაუფითებული სხე, იგივე მოდუნებული სხეული, ვეღარ გაუძლ, ტირილი მამივიდა...

— მერე?—ჩავეკითხე მე ადეფებულმა.

— გადავანდევი... არ შეიძლება... იმ დღეს წამოვიდი, რი ვვირის შემდეგ მკაცრი ბძანება მამივიდა და ისევ წავიდი...

ადმინისტრაციული წესით „ზრტოკოლების“ ფულის გადახდევიება გენერალ-გუბერნატორის ბძანება იყო. საკმარისი იყო რომ შემამუღეს განეცხადებინა: აქ და აქ ამდენი და ამდენი ზარალი მამივიდა, რომ ზოლიცა ერთ დღეს „ზრტოკოს“ ადგენდა, ხოლო მეორე დღეს ახდევიებდა. შემამუღების მდას ვეღარაფერი აკმაყოფილებდა. რაც სავი წლის განმავლობაში დააკლდა, ერთი ცხათ ერთ დღეს მოინდომა ანაზღაურება. რაც სავი წლის განმავლობაში ვაება დაეუნა მას გლეხმა, ერთი ათათ ერთ დღეს მოინდომა გადახდა. ტუისა, დალებისა და სხვაჯანების ფულები რომ გადახდევიენ, შემდეგ შარებასაც მიჭვევს ხელი.

ერთ სოფელში წელს, ახალ-გამოზაფხულზე, ხდხს რომ შიმშილით ეხრებოდა საქონელი და ჯერ ისევ თოვლი იღო, რომ სოფლებებმა საქონელს გაუღეს ბასლის კარები და მინდორში კარეკეს, თუ დაიხრებოდა ისევ კარში დაიხრებოდა. სოფლის დამშეული საქონელი მიადგა ერთ თავადის ჭაღას და ხეების წვრილ ტოტებს ჭამა დაუწყო. ეს დაინახა თავადა, მიიწვია ზოლიცა და სოფელს სამცხდა ათი თუმნის „ზრტოკოლი“ შეუდგინა.

ამ გვარ „ზრტოკოლების“ სიმრავლე და უკუდმართება იქამდასინ მავიდა, რომ ამ ბოლო ხანებში, რი სავი თვის წინად, გენერალ-გუბერნატორმა ახალი ბძანება გამოსცა: თუ არ ჩემის ნება-დართვით, მარის ადმინისტრაციას ნება არა აქვს „ზრტოკოლებით“ ხდხს ფული გადახდევიენ. ისე რომ თუ რამელიმე შემამუღე რომელიმე სოფელს „ზრტოკოს“ შეუდგენდა, ჯერ გენერალ-გუბერნატორისთვის უნდა გადაეცა და თუ ის ნებას დართავდა. მარის ზოლიცა გლეხებს მხოლოდ მაშინ გადახდევიებდა.

ამ გვარად საქმე გაძნელდა და ზრტოკოლების რიცხვმაც იკლო.

გენერალ-გუბერნატორი რომ ხდხს შეიძლება... ბათ იმ ხდხის საქმე შეტად ცუდად ეოფიდა!

გენერალ-გუბერნატორი რომ დაიფარავს გლეხს თავადის მადისკან, ალადა იმ თავადის მდა შეტის შეტი გაუმაძღარი ეოფიდა!

მაგრამ ეს არ აკმარა გლეხს შურის მამებელმა თავად-აზნაურებამ. „ხდხის დაჭვიანებისთვის“ საჭირო იყო სასტიკი ზომები, საჭირო იყო ვაჟ-კაცობა, მხეცური ინსტიტუტი, გადაშეტებული უსინდისობა და ამ მხრივ სამწუხაროდ დიდად იმინა თავი ჩვენმა თავად-აზნაურებამ.

გაგულისებული რუსის ბაქაუფთან ნასტრახნიკარ, გაველურეულ, გამხეცებულ ოსთან ერთად ჩვენი ბრწინვალე წოდებაც ხდხში უფროსად ჩაუდგა გლეხს და კვატციას საცხარი სისწრაფით მიაქანებს უფსკრულისკენ.

მთელი სოფლები მოდებულია მთავრობის მიერ დაეეებულ მამსახლისებით და ნასტრახნიკარი ოსები და თავადები გლეხის „მორჯულებამი“ ერთმანეთს დიდს შეტოქებას უწვევენ.

რა თქმა უნდა, ასეთი გამწვავებული დამოკიდებულება და ჯოჯოხეთური ურთიერთობა თავდა-აზნაურებისა გლეხებთან დიდ ხიფათს და წარმოდგენელ უბედურობას მოასწავებს... და ნეტა არას თექრებენ ამაზე სოფლის მეტოხენნი?!

(გაგრძელება) **სოფლელი**

შიო ჩიტაძის ხსოვნას.

შავი ყორანი გამითხრის საფლავს!..
ნ. ბარათაშვილი.

შენს სამარის წინ ვსდგევარ მღუმარე, თვალთ მომწოლია ცრემლი მღულარე!..
სამშობლო ჰგლოვობს ერთგულსა შეილსა..
შესწყდა ჩანგის ხმა ქვევ—მქუხარე!..

მხოლოდ ნიაგი საფლავის ახლოს არხევს ნორჩ ბაღას ამწვანებულსა;
დილით ცის ნამი ცრემლად გეფრქვევა,
ყვავილს გაურბის გადაფუქნულსა!..

დაე ბუღბუღმა მწარედ დაჰკენესოს,
მან დაგიტოროს გინთიადზედა;
იამ გაშლილმა ყურს ჩაგჩურჩულოს
რავდენიც აჰყავთ გოლოგოთაზედა!..

არ ასვენებენ შენსა სამშობლოს
ოხრად დარჩენილს აოხრებულსა;
ძველებურადა მინდვრის არწივი
ბასრ ბრჭყალებითა უფლერთავს გულსა!

შენ მას დაჰმორდი! აღარა ჰყევარ...
ნუგემს ვინდა სცემს, ვინ მოსწმენდს ცრემლსა?
მას შენი სიტყვა განამხნევებდა
და გულს მოჰფენდა სხივსა ნათელსა!..



თუნდაც დაჰბერდეს კვლავ გაზაფხული და განვიციდოდეთ კვლავ სიხარულსა, შენ ხომ ვერ იგრძნობ და ვერც იხილავ სამშობლოს ტურფად აყვავებულსა!!

დავკარგეთ შიო!.. მტრის ცხელმა ტყვიამ გამოასალმა წუთი—სოფელსა; აღარ სძგერს გული სიცოცხლით საესე, ვინღა მოგვიხვექს დიდსა სახელსა!..

ის აღარ არის—მაგრამ კი ცოცხლობს! არ დაივიწყებს ქართველის გულია; შურის ძიებად მებრძოლთ გვაძნევენს მკვლელობა მისი ვერაგულია!..

ა. შ — ლი

შ ა შ ვ ი ს ბ უ დ ე .

(გუძლ. შ. ჩიტაძის ხსოვნას)

ზაფხულის დილა გათენდა... მე ერთობ აღრე გამომეღვიძა... ადგომის უმაღლ მიმოვავლე რა თვალი არე—მარეს, სულს შევება მიეცა, გული სიამოვნებით ამევსო... ასე იცის დიდებულმა ბუნებამ... ნელი სიო, ფრინველთ გალობა, წყაროს ჩუხჩუხი—შეაერთეთ ყველა ეს და გწამდეთ, რომ ამითი თვით ქვის გულიც კი მოლობება, გადახალისდება...

და ასე.. ბუნებამ გამიტაცა... დავყვევი ოროლობეს... გავედი ვენახში.. როდესაც გარშემო ვუვლიდი ერთ ვაზზე ბუდე შევნიშნე, ბუდე შაშვისა...ვაზის ერთ რქაზე, ზედ ბუდის თავზე შემომჯდარიყო მამალი შაშვი და თავ-დავიწყებით უსტვენდა... უსტვენდა და თან ძირს, თავის ბუდეს ჩაჰყურებდა... კარგა დავაცქერდი იმ ბუდეს და შევნიშნე, რომ მასში დედალი შაშვი ზის, ხოლო მის გვერდებიდან საყვარლად გადმოუყვიათ პაწაწინა თავები მათ მალხაზ ბარტყებს. . სწორედ ამათ უგალობდა ვაზის რქაზე მჯდომარე შაშვი... არ ჰსურდა მოეწყინებინა მათთვის... ართობდა...

— შვილები გაგვეზრდება, შვილები, დავსტკბებით მათის მშვენიერებით,—სტვენდა მამალი შაშვი.

— დიახ, გენაცვილე, დიახ!—შესქახქახებდა ძარიდან მეუღლე.

— მოუაროთ ჩვენს შვილებს, ვუზიდოთ სხვა და სხვა ჭია-ლუა, მავნებელი ნათესისათვის... გავზარდოთ და შემდეგ ისინიც ჩვენსავით მუსრს გავვლებენ ბოროტ მწერებსა...

— მაგრე ვქნათ, გავზარდოთ ჩვენი საყვარელი

შვილები... ბოროტი მწერებიც გაგვეზარდოთ, რომ მშვენიერი მიდამო, ამწვანებული არე-მარე მთლად გადაჰქნება, იმათ მეოხებით,—უმეორებდა ქვეიდან საყვარელი მეუღლე...

— მაგრე, მაგრე...

ბუჰჰ .. თავს ზარი დამეცა... იქაურობა ბოლო მა მოიცვა... ცოტა ხნის შემდეგ ვაზს შევხედე... მომდერალი შაშვი იქ ვეღარ დავინახე... იგი ახლა ძირს ეგდო თავ გაჩხილი. სისხლისაგან იცლებოდა და საცოდავად ფართხალობდა... დედალ შაშვს ბუდისათვის თავი მიენებებინა, ზეიდან საცოდავად დაჰფრინავდა და გულს-საკლავად ქახქახებდა. .

— მი... მი... შევლე, —შესთხოვდა ქვეიდან თავის საყვარელ მეუღლეს სისხლში და მიწაში ამოგანგლილი მამალი შაშვი, —შვი... შვილები... გა-მო... მიზარდე... თავი... არ... დაა... ნე.. ბო!

იღგენ უკანასკნელი წუთები... შაშვი საცოდავად ტყიბინებდა... მისი თვალები გულ საკლავად ტრიალებდენ... იგი ხან გვერდებზედ მიმოიხედავდა, თითქოს უნდოდა ენახა თავისი საყვარელი შვილები, დამტკბარიყო მათის ცქერით, მარა ამით, იგი მხოლოდ თავისივე სისხლით გათხუზულ ბაღახებს ღა ხედავდა... ხან კი ზეცას შეაცქერდებოდა, თითქოს ღმერთს ევედრებოდა: „ნუ მომკლავ, ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის, გამომაცოცხლე, ერთხელ კიდევ დამანახვე ჩემი საყვარელი შვილებიო“—მაგრამ აქაც თხოვნა და იმედი უცრუვდებოდა...

დიდხანს ეწვალა ამგვარად და შემდეგ სამარადისოდ მოხუჭა თვალები... დედალი შაშვი კვლავ თავს დასტრიალებდა, გულ-საკლავად ცხარის ცრემლებით ქვითინებდა და მოსთქვამდა: „აღარ მღერი ჩემო საყვარელო, აღარ იქერ მავნე მწერებსა?!“—მარა რაკი მეუღლის ხმა აღარ ესმოდა მწუხარება ერთი ორად ეზრდებოდა და მის გულს კაეშანი იპყრობდა...

მე თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით გადმო-მდიოდა. . ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ იმ ვაზის შორი-ახლო მონადირე დაეხეტებოდა... თოფით ხელში...

„ზიზლი შე მხეცო, ქვის გულიანო არსებავ! რისთვის გაამწარე სიამოვნება, რას ერჩოდი ტურფა არსებათ, რა დაგიშავეს... რისთვის მოუსპე ისედაც ხან მოკლე სიცოცხლე?!.“—შევძახე ეს აღელვებულმა, გულ აშფოთებულმა, ვეღარ მოვიტმინე მეტი და თავბრუ დასხმულმა სახლისაკენ გამოვსწიე...

მეორე დილას კიდევ მიველი იმ ადგილას, მინდოდა ბარტყები მაინც მენახა, მაგრამ რა ვნახე?..



ბუდე ცარიელი, მხოლოდ იმ ადგილას, სადაც წინედ მამალი შაში ეგლო, ახლა ორი შაში, მეუღლენი, განისვენებდნენ..

დედა შაშვს სიმწარესათვის ველარ გაეძლო, ჩამოვარდნილიყო მალლიდან და ისეთის ძალით დაცემულიყო მეუღლის გვერდით, რომ იქვე სული განეტევებინა!.. სიყვარულიც ასეთი უნდა!.. მწუხარება ერთი ასად გამეზარდა, კაეშანმა ფრთა შემომხვია, თვალებს კვლავ მწვავე ცრემლები მოადგა და აღელვებულ-აღშფოთებულმა კვლავ სახლისაკენ გამოვსწიე...

ბარტყები კი როგორც ეტყობოდა სხვა შაშვებს წაუყვანიათ აღსაზრდელად. . კიდევ კარგი... ამ გარემოებამ ცოტა გამახარა... იმედია ის ბარტყები შესრულდებიან დახოცილ დედ-მამათა სურვლს მომავალში... ნეტავი მაგრე მოხდებოდეს!..

ღიახ, ამ სურათის მნახველს თავს ბრუ დამეხვა .. ჩამნახდა იმ დღეს ბუნების მერ ჩემში გამოწვეული სიამოვნება .. გული ამიკვნესდა... ვსტიროდი ცხარე ცრემლებით...

ღიახ, ასეთი ბოროტი ყოფილა იგი არსება .. მონადირე..

მარა იმედია ბოროტს ყოველთვის კეთილი სძლევს... ვნახოთ!!..

მეც მას შემდეგ მონადირისადმი ზიზლითა და შურის ძიებით გავიმსქვალე!..

დ. ელიოზიშვილი.

ნ ი ა ლ შ ა რ ს

მოსკდი მძლავრად ნიაღვარო,
შეარყიე მთლად სამყარო,
და წალეკე ბოროტება,
რაც ამ ქვეყნათ იპოება.

მოსპე მტრები—მტარვალები,
მუქთა—ხორა ბატონები,
მთლად წარხოცე მტრობა, შური,
და მის ნაცვლად ყველგან ძმური
დაამყარე სიყვარული
და ერთობა მეგობრული.

გრი—გრი.

სამშობლო ჩემო!...

სამშობლო ჩემო, ტკბილო ნუგეშო,
მნახველო ბევრის ქირ-ვარამისა,
თავ-დადებულთა გმირთა სავანე
ზღვა—ოკეანე ხალხის ტანჯვისა,
შეუღარებელ შენსა სიტურფეს,

შენს უხე ბუნებას, ბედნიერებას
შურით უტკერდნენ ყვაფი-ყორნები **ეროვნული**
და გემუქროდნენ განადგურებას... **ბიზლიქითქა**

მაგრამ გულადო, ერთხელაც მტრის წინ,
ამაყი თავი არ დაგიხრია;

და მრავალ წლობით, შენის დროშის ქვეშ,
შენ შვილთ გმირულად სისხლი უღვრია,

გიორგ ბრწყინვალე, ვახტანგ ლომ-გული,
მეფე ბაგრატი დიდ სულოვანი,

მძლეთა მძლე დავით აღმშენებელი,
პატარა კახი სახელოვანი

თავზარსა სცემდენ შენსა მზავრელებს,
წინ მიუძლოდენ საყვარელს ერსა,

და ბრძოლის ველზედ გააფთრებულნი
თავის განწირვით მუსრავდნენ მტერსა,

მაგრამ დროთა სვლამ, მწარე სიკვდილმა
გმირებს გმირობა არ დააცალა,

დალილ—დაქანცულთ, დაჭრილ—დახოცილთ
ხელიდგან დროშა გამოაცალა.

ძლიერი მკლავი შეკრა-შებოქა,
მტკიცე ფარ-ხმალი დააყრევინა,

ხერხით—აღერსით მტერმა ცბიერმა
თავი ამაყ ერს მოახრევინა.

და დღესაც ისევ, ტკბილო სამშობლო,
კვლავ ბევრი შენზედ ამხედრებულა,

შენს ჩასაყლაპად, შენს დასამხოზად
შურით და მტრობით წაქვებულა.

მაგრამ ამაოდ! ფარულ განზრახვას—
ვერაგ წადილსა ვერ მისწვდებიან:

შენი შვილები—ქირისუფლები
შენს დამლუბველ მტერს შეაკვდებიან...

იმერელი ქალი.


ღიადი მსხვერპლი.

შ. ჩიტაძეს ხსოვნას.

(ლექსი პროზათ).

მოსჩანდა ვინმე... ბუმბუკაში, მთისა მბაძავი, იმი-
სი სსხე გამოსთქვამდა ბორბტეხასს; გერა ნახავდით მას
მომცინარს, ნათეჯის სსხით, მის ანსუბაში ტახტი ედ-
გა მსოფოდ ვნებას.

მას გარს ესვია ბურუს-ღრუბელი სეტყვის მომგე-
რედი, და ამა ძალით იგი არეს ემუქრებოდა; თრთოდა
მცხოვრები შემსუდვარე ამ ზვიადობის და მოწიწებით მის
წინაშე იარებოდა... ვაი, მას, ვინაც გაჭებდავდა შეურაც-
ხებას და მის ბრძანების იმეგ წუთში არ შესრულებას;
მადლით ისრფადა იგი სეტყვას, გამნადკურებელს და ურჩ
ანსუბათ აყენებდა მწარე ვაებას...



...ყოველი სდუმდა, უშინდა საშიშროების, ხოლო მაშინ თავისუფლად დანავადობდა... უზომო იყო მცნობრებოტ ტანჯვა მის შეხებით, მაგრამ ძლიერი ამაზე სულ არა დარდობდა...

დიდხანს იტანჯებენ... ცრემლი ღვარეს ზღვის შემკრთი, კვებს ისმდა, ედებოდა მსოფლიო არეს... ვუდარ გაუძღეს.. მათ ადევსოთ ფილა თქენის. და სიამაყით გადაჭხედეს ბატონს მკრგვინვარეს...

ეს მან იწინა... შეტორტმანდა... კბილს აკრატუნებს... მისი ბუნება ვერ ითვისებს ამა მოვლენას...

„როგორ მამედვენ მე დიადსა, უველაფრის მბერობელს, მე ძლიერებით შემოსილსა, კაბრწინვალებულს... მონა-მორჩილი, ჩემის შიშით მარად მთრთოლვარე, დღეს შემომბღვერის, ლამბას რამე მაყენოს ვნება!! ხა, ხა, ხა!!.. ვნება!!.. მერე ვის?! მხერობელს!!.. ვერა, ვერ ბილწნა!!.. დაუწყეთ თქვენი ბუნება. ჩემთან უჩნობა არას გარკვებოტ გველის წიწილნა, თქვენ ვერ მომიშლით ტკბილსა ნადიმს, სიამოვნებას, ვერ შეაყენებოტ ჩემსა სურვილს მკვებისა წილნა... აი, მახვილი, ზარბაზანი და სხვა იარაღი, უოველი ესე ხელთ მიბურია მტკიცედ, ურუგვლად; გარს მახვევია სქელი დრუბული მომკვრელი სეტუვის, რომელიც უჩნსა ანადგურებს, ჰკლავს დაუნდობლად.. გაგანადგურებოტ!!!—და ამოძრავდა იგი ძლიერი... გახადდა ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი, და უღმობელი... თრივე მხარე გაშმაგებით ურთერთს აწუღება...

სისხლმა შეღება მთლად არე—მარე, მინდორი, ველი.. ბუერი ისოცვის... ბუერის დედა მწარედ ქვითინებს, შვილის ტკბილი შმა ადარ ესმის მამის მწუსარეს... სატრთოტ ცრემლსა ღვრის, რა ვეღარ სჭვრეტს თვის საყვარელსა... კვებსა ვეღვან, კვებსა ჰმეთობს მთლად არემარეს...

— „გამიშვი ტურთავს.. მე იქ მიწვევს სისხლი ძმებისა,“ — აღფრთოვანებით უთხრა გმირმა თავის სატრთოსს, — „მსურს მათის ბედის მეტ შეგაქნე ნაწილ-ღებუელი და მათთან ერთათ მეტა ვსწიო ბრძოლის უღელი!!!“

...სახე მცინარი, სიამაყით წარზღვა ჭბუკი და ჩარია ტაღლას ცეცხლოვანს, ცამდე შეტეორცნილს... ბრძოლა ეღვარებს... ისმის გრგვინვა შეუწვეტელი... მოკლულთ გვამებით მოიფანა მინდორი, ველი...

იმ ბუმბურაზმატ არა ერთხელ წაბორძიკა, მაგრამ იარაღი მისი ერთობ ბასრი დგებოდა... სეტუვა გულ-უნვად მოკრგვინვად მის დრუბლებიდან და ის კვლავ ფეხზედ, ხოლო ნატკენზე, ისევ სდგებოდა...

გრგვინვადა შეტა, ბანს აძლედა მთა ბუმბურაზი... იბრძოდა გმირი სსუბოთან ერთად, დაუზოგველად, მის არ ახსოვდა თვისი სატრთო და ჰირფინება, ის ჩაგრულთათვის თავსა ზღებდა უმანკო მსხვერპლად!..

ადრულდა კიდევ!.. მტრისა ტუვიამ იგიც განგმიჩა; უკანასკნელად მან მოაღელა თვალი მიდამოს, გამო-

თხროვა საუკუნოდ ტოლთ და მეგობართ... ვეღარ შეხედა თავის საყვარელ, უმანკო სატრთოს!.. მტრისა განშორდა იგი.. მეგობარნი ცრემლსა მსოფლიო მისი აჩრდილი ვეღვას თვალ წინ უდგას, მღუმარე, რადგან ხაღს ჩაგრულს, მწარედ მომთქმელს მან ანაცვალა, გული მოევარე მოეგასისა, მარად მეზნებარე...

— „არ დავივიწყობოტ!“ — ფიცსა სდებს ვეღვა მტკიცედ, ერთგულად, — „მის მკვლელს გმირთ მტარვალთ, შურის-ძიებით გაუმასპინძლდეოტ!“

— „დახს, მაგრე... ეკ საჭიროა“, — გრგვინვს მსოფლიო, — „ყოველ ბოწიერს, ყოველ მტარვალს ანადგურებდეოტ!“

...ვეღვამ მტკიცედა გულს შოთანერგეს, ესე მრისხანე შურის-ძიების გამობახილი!..

დ. ელიოზიშვილი.

დიდხანს იძნება?

დიდხანს იძნება აგრე უწყალო აუტანელი ტანჯვა-მწვალება? — მონის ბორკილის, მძიმე უღელის მუღმივი ქედა მუღამ ტარება? დიდხანს იძნება ნეტავ ქვეყანა ძალ მომრეობის მუხრუქ ხელშია? ტანჯული ხალხი — ჯაფის მოყვარე არ გაიშლება ნეტავ წელშია?

ა. თალაკვაძე.

ურიგო და უნამუსო.

მულტატულისა (გერმანულიდან)

სამოეღიაში — არ ვიცი იმ ქვეყნის სახელი, მაგრამ ეს ჩვენი ენის სიღარიბეა, რომელიც ჩვენვე უნდა შევავსოთ — სამოეღიაში ჩვეულებათ აქვთ თავიდან ფეხამდის აჭრილი კუპრის წასმა.

ერთი ახალგაზდა სამოეღელი არ მოიქცა ასე; კუპრს კი არა სხვა რამესაც არ ისვამდა იგი ტანზე. არ ასრულებს ჩვენს ადათს, ჩვენი ჩვეულობა არ სწამს — ურიგო კაციო, — სთქვა ბრძენმა.

მართალი ბრძანება იყო. რა თქმა უნდა ყმაწვილ სამოეღელს ცუდათ ეპყრობოდენ; ყმაწვილი სხვაზე უფრო მეტს ზღვის ძაღლებს იჭერდა, მაგრამ რა გამოვიდა: დაჭერილს ზღვის ძაღლებს ართმევდენ და ურიგებდენ იმ სამოეღელებს, რომელიც ჩვეულებისამებრ ისვამდენ ტანზე კუპრს, მას კი მშიერს სტოვებდენ.

კიდევ უარესი ამბავი მოხდა. ყმაწვილმა სამოედელმა გაატარა რამდენიმე ხანი კუბრის წაუსმელათ და ბოლოს დაიწყო Eau de Cologne—ით (ოდე კოლონი—სუნელოვანი წყალია) იბანდა ტანს... „ეს ჩვეულების წინააღმდეგობააო“—სთქვა ბრძენმა სამოედელმა— „ის კაცი უნამუსოა! მაშ კარგი, შემდეგშიაც წავართმევთ ზღვის ძაღლებს და გარდა ამისა კიდევაც ვსცემთო...“

ასედაც მოხდა. რადგან სამოედლიაში არც დაცივნითი სიტყვები იციან, არც ბეჭდვით თავის გამართლება, არც ეჭვის მიტანა, არც დენა სარწმუნოებისთვის, არ აქვთ არც ცრუ ლიბერალიზმი, არც გამათახსიერებელი პოლიტიკა და არ ყავთ დამლუპველი მინისტრები და არც დაქანგებული პალატა გააჩნიათ—ამიტომ სენის შეპყრობილი ახალგაზდა სამოედი იმავე ძელებით დაბეგვეს, რომელნიც მისგანვე მოკლულ ზღვის ძაღლებს დასცვენოდა.

5. ლორთქიფანიძე.

რისთვის მიმღერი ჰანგსა ციურსა?

რისთვის მიღვიძებ გულს სიყვარულსა?
რად იწვევ სულსა ოცნების მხარეს?
რად გსურს დავშორდე სოფელს მღელვარეს?

განსაცდელშია ტურფა მამული,
მტერი კარს გვადგა გაათრებული!
გსურს,—დაჩი ჩემთან, იბრძოლე მედგრად!..
თავი შეეწიროთ, დავეცეთ მსხვერპლად!..

ა. შ—ლი.

† დავით სოლომონის ქმ ფურცელაძე.

წარსულ მაისის 25-ს გორის მაზრ ს სოფელ მერთში უეკარის ხიფათის გამო გარდაიცვალა დავით ს—ძე ფურცელაძე. შუალამისას უცაბელათ გადმოვარდნილიყო თავის სახლის დაძველებული აივანიდან და, რადგან იმ ქამად სახლში არავინა ჰყოლოდა, გათენებამდე გულშეუწებულ მიწაზედ იდო თურმე. მხოლოდ გათენებისას ენახათ ამ ყოფაში ჭებელური კაცი. მიეღოთ სხვა და სხვა საშუალებანი და სიტაცხლის ნიშნები კვალად აღედგინათ. ასე უგრძობელად იცოცხლა ორი დღე და მესამეს განუტევა სული. მთელს ჩვენს მხარეში ამ სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია. განურჩევლად წოდებისა და საზოგადო მდგომარეობისა, ყველანი ერთნაირს გულწრფელობით დასტიროდნენ მის გაცუვებულ გვამსა. რითი დაიმსახურა ესეთი საერთო თანაგრძობა განსვენებულმა?—მთელი თავისი წარსული ცხოვრებითა.

იგი დაიბადა ამ ორმოცდა თექვსმეტი წლის წინათ. რვა წლისა იქმნა მიბარებული თბილისის პირველ გიმნაზიაში. უკანასკნელ კლასში იყო, როცა გიმნაზიის მოსწავლეთა შორის არეულობა მოხდა. მთავრობამ დაამშვიდა არეულობა სხვა და სხვა სასტიკ საშუალებათა ხმარობით. ამ საშუალებათა მსხვერპლად შეიქმნა დავით ფურცელაძეც: იგი გამოირიცხულ იქმნა სასწავლებლიდან. ორიოდ წლის შემდეგ იგი პეტერბურგში წავიდა და იწყო თავისუფალ მსმენელად ლექ

ციების სმენა იქაურ უნივერსიტეტში. მალე დაუახლოვდა „ნაროდოვოლცების“ საიდუმლო საზოგადოებას და მისი საზოგადოების სახელოვან წევრებთან ერთად [[სტუდენტურ] მრეწველ] ვაწეობა. მთავრობამ შეიტყო ამ საზოგადოების არსებობა და მიიღო მის ჩასაქრობად ჩვეულებრივი საშუალებანი: სხვათა შორის დ. ფურცელაძეც გამოირიცხეს უნივერსიტეტიდან და გამოსდევნეს საქართველოში.

ახალგაზდა აგიტატორმა არც აქ დაანება თავი აღნიშნულ საზოგადო მოღვაწეობასა. ორიოდ წლის განმავლობაში საქართველოში შეიკრიბნენ რუსეთის სხვა და სხვა მაღალ სასწავლებლიდან გამოდევნილი სტუდენტები. ამთხელახლა აღადგინეს დაშლილ საზოგადოების კავშირი და ახალგაზდურის გატაცებით იწყეს ქადაგება ქვეყნის აღდგენისა და განახლებისა. მაგრამ დალატმა მალე მოუღო ბოლო ამ ქადაგებასა. საზოგადოებაში აღმოჩნდა იუდა, ვინც იოსელიანი; გასცა სათითაოდ წევრნი საზოგადოებისა. მთავრობამ, რაღა თქმა უნდა, ისარგებლა ამ შემთხვევით: დაიჭირა ოცამდე ახალგაზდა და ჩაპყრა მეტეხის ციხეში, ამათში მოჰყვა განსვენებული დათიკოც. რამდენსამე წელს ისხდნენ ესენი მოხსენებულ ციხეში, რომლის დაშლამუღმა ჰაერმა ზოგიერთა მთვანს წაართვა ჯანის სისალე და ბოლოს სამარის კარამდეც მიიყვანა. ასე დავემართათ ჯანითა და ღონით საგსე, მაღალ ნიჭიერ და დიდის პატიოსნებით შემკულ ვასო დეკანოზიშვილს და რომანოზ ფავლენიშვილს.


განსვენებული დ. ფურცელაძეც ავანთყოფი გამოვიდა სატუსალოდან. ამ დროდან მოკიდებული უბედურ დღემდე სულ მუდამ სოფლად სცხვარობდა. შეისწავლა აგრონომია და ერთგულად მიჰყო ხელი მეურნეობას. თვით მუშაობდა, როგორც ნამდვილი მუშა. ჩვენს მხარეში ყველასგან ცნობილ და პატივცემულ ისაია ფურცელაძესთან ერთად იგი საქმიან და სიტყვით ყოველ დღე უჩვენებდა ხალხსა განათლებულ, ქვეყნის ერთგული მუშაკის მაგალითსა და ეს მაგალითი როდი რჩებოდა უნაყოფოდ. განმათავისუფლებელ მოძრაობას იგი მიეგება ისეთისავე აღზნებულის გრძობით, როგორც სვიმონ მიქრმელი ტაძრად მიყვანილ ახლად შობილ მაცხოვარსა. პირველ ხანებში მის აღტაცებას აღარა ჰქონდა სამზღვარი, მაგრამ რამდენადაც წინ მიდიოდა მოძრაობა, იმდენათ მწუხარებით იმოსებოდა მისი დაღონებული სახე, „გამოუტყდელი, გაუწათლებელი, მოკლე ჭკვიის ხალხი ჩანდკომია სათავეში დიდებულ საქმესა, მოძრაობას წაახდენენ, სიკეთის მაგიერად ბოროტებას მოატანინებენ...“ ნაღვლიანად ამბობდა ხოლმე ხშირათ.

ხალხის ერთგულ კირისუფალს ძველებურ უნდოდა ხელახლა ფრთების გაშლა, მაგრამ ვერ მოუხერხდა, ამ ფრთებზე უსხდა შვიდი ბავში სხვა და სხვა სასწავლებელთა სხვა და სხვა კლასში მოსწავლენი, რომელთა მზრუნველობას ვერ უღალატა. იცოდა, რომ ერთად ერთი მარჩენელი და აღმზღელი ამ ბავშვებისა იყო იგი და მისგამო სამოქმედოთ გაშლილი ფრთები ნაღვლიანად ჩამოუშვა ძირსა. ამ ბოლო ხანებში განსვენებული სხვა და სხვა სასოფლო, საგლეხო საქმეებში იყო გართული. სხვათა შორის, მან თავის სოფლის გლეხკაცობას მოუხერხა ერთი მექამულისაგან ორას სამასი დღიური მშულის იაფ ფასად შექმნა.

სამწუხარო და საველადლო საზოგადოდ ყოველგან კაცურის კაცის სიკვდილი, ხოლო ეგ მწუხარება ერთი ათად უფრო მკიბე და შეუწავლელა ჩვენი ბეჩავი და უპატრონო სოფლებისათვის.

არბოგლი,

უცხოეთის ხელოვნება



ჯუჯეპი ვერდი

დიდებული მემუსიკე და კომპოზიტორი, განთქმული მთელს მსოფლიოში თავის ნიჭიერობით და მრავალ ნაყოფიერობით. დაიბადა 10 ოქტომბერს 1813 წელს, ხოლო გარდაიცვალა ოთხმოცდა რვა წლისა 1901 წ. 14 იანვარს. პატარობიდანვე შეეცყო დიდი ნიჭი. თერამეტი წლისა იყო, რომ კონსერვატორიაში მოინდომა შესვლა, მაგრამ ის არ მიიღეს, რადგან მეტის მეტად თავისებური ნიჭის პატრონი იყო და ამევე დროს დამოუკიდებელი ხასიათისა. სწავლობდა ცნობილი ტეატრის «ლასკალას» დირექტორთან ლავინისთან. 25 წლისა იყო, როცა დაიდგა მისი პიოველი ოპერა. ერთი 1838 წ. შემდეგ დასწერა ახალი ოპერა 1840 წ. მერე ყოველ წლივ ახალ-ახალ ოპერებს სწერდა; „ლანგობარდი“ და „ერნანი“ არა თუ იტალიაში, საზღვარ გარედაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. საუკეთესო ოპერა ვერდისა «რიგოლეტო» დაწერილია 1851 წ. მერე „ტრუბადური“ (1853) «ტრავიატა» (1854) „ბალ-მასკარადი“ (1858) მთელმა ევროპამ საუკეთესო ოპერად აღიარა. ცოტა ხნის შემდეგ ვერდმა დასწერა დიდებული ოპერა „აიდა“ (1871 წ.) ხოლო მისი უკანასკნელი ნაწარმოებები იყო „ოტელო“ (1887 წ.) და „ფალსტაფი“ (1889 წ.) ვერდის სულ ექნება დაწერილი ოცდაათ ოპერაზე მეტი. ყველა მისი ოპერები მეტად პოპულიარული და ყველასათვის გასაგებია. ვერდი გარდაიცვალა დამბლისაგან და თავისი სიმდიდრის უმთავრესი ნაწილი დაუტევა ვერედ წოდებულ დაბერებულ და დაუძლურებულ მემუსიკეთა და მომღერალთა თავშესაფარისათვის, რომელიც უკვე მოქმედობს.

აკაკის მოსწრებული სიტყვები

ერთი ნაცნობი შეეკითხა აკაკს: როგორ მოვიქცე, რომ „არც მწვადი დავსწვა და არც შამფურიო? — ეგ ქუთაისის ბანკს უნდა ჰკითხოო — რომელიც ამდენი ხანია კიდევ მაძლევს ვითომ პენსიას და არც მაძლევს! —

გამოჩენილი მამულიშვილი



ჯუჯეპი გარიბალდი.

დიდებული მამულიშვილი და პატრიოტი იტალიისა დაიბადა 4 ივლისს 1807 წ. ნიცაში. პატარობიდანვე შეეცყო სამხედრო თავდასაჯალის სიყვარული და მეზღვაურად შევიდა გემზე. 1834 წელს მონაწილეობა მიიღო სავოსის შეთქმულებაში და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. გაიქცა საფრანგეთში. დიდხანი დაეხეტებოდა სხვა და სხვა ქვეყნებში და ყველგან იღებდა მონაწილეობას, სადაც კი რამე ომი ან განმანთავისუფლებელი მოძრაობა იყო. 1846 წ. სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში რიოგრანდეს და მონტევიდეოს ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, როდესაც ზემო იტალია აჯანყდა ავსტრიის წინააღმდეგ გარიბალდი სამშობლოში ბრუნდება და მედგრად ებრძვის სამშობლო მტერს. იგი ადგენს თავის გათქმულ რაზმს 1500 კაცთაგან თავზარსა სცემს ავსტრიელებს გარიბალდომ თავის სამხედრო ნიჭით, გულადობით და თავგანწირვით საერთო სიყვარული და ნდობა მოიპოვა მთელის იტალიის ერისა. გარდაიცვალა 1882 წ. 20 მაისს.

იმერეთში ერთი ხელჯოხიანი იყო დიდი ღირსი და მექრთამე. სამსახურიდან, რომ გადააყენეს გასუქებული, წავიდა პეტერბურგს და იქა სცხოვრობდა კერძოდ მდიდრულად. ხშირად ღვინისა მართავდა ხოლმე. ერთ მის წვეულებაზე აკაკი დაესწრო. მასპინძელი რომ შექეიფიანდა, ტრახანობა დაიწყო: მე რომ იმერეთში ვიყავ, ხალხს ძალიან ვუყვარდი, გამოთხოვების დროს სადილი გამიკეთდა სახსოვრად, ერთი მშვენიერი თასიც მომიძღვნა წარწერით და ზედ „კოლხიდის ვერძია“ გამოხატულიო!.. წარწერას, ვსთხოვოთ, რე კნიაზ აკაკი წავგიკითხავსო. აკაკიმ ჩამოართვა თასი, გადაატრიალგადმოატრიალა და ღიმილით სთქვა: თასი ღოთობის ემბელემა და „კოლხიდის ვერძი“ იმას ნიშნავს, რომ კოლხიდიდან იაზონმა ბევრი ოქრო გაიტანაო!



ზაფხული, ზეიფერტის ნახატი.



ამალია და კარლოსი (შილერის „ყაჩაღებიდან“)

ლემციის უმედეგ

გრ. რობაქიძემ რა ლექტია წაიკითხა — „სქესი და სიყვარული“ — ასეთს მუსაიფს მოგვარი უური, რაღა თე-ატრიდან გამოვდიოდ: —

— ოღია, ზასლუში, ოჩენ ინტერესნი არაა ლექტორი?

— ბენა, ნატაშა, შტოტი გავარიშ, — გოუსკლა იმას მიწა, — ზრატეინი... ქალები ხინტო ხართო.

— ნიეტ, ღუშკა, ოღია ეს ხო მისი სობსტვენი მისლი არ იუო. ვინცხა უჩინიაო... ნე ზომნიუ, რა გვარიაო?

— კაკოი ტო ვინეგრეტიაო!

— ჭო, ზრაფდა, ვინეგრეტი!..

გედარ მოკათმინე და გუთხარი: ქაღიშვილებო, რა-ბაქიძეს ე მაგ — გვარის მეტნიერა არ უხსენებია... მაშა-ტეთ და — ვინეგრეტი თქვენი მუსაიფია და თვით თქვენა ხართ და შიტომაც გიწოდათ თვეს ლექტორმა „ხინტო“!..
თომა-პუსა.

უმედეგობა — დახმარება.

(უძღვნი ბ. ა — ვს).

მეზიზღები როცა გხედავ,

დაგისახავს ღმერთად ფული:

მას ემონვი პირუტყულად,

არ გწამს მოძმე დაჩაგრული.

დრო იყო რომ შენც კენესოდი —

არა ქონდა ლუკმა პური!

დაგავიწყდა ის დრო-ჟამი,

როს იშოვნე ბლომად ფული?

მაშ დაფიქრდი, გამოფხზლდი,

ნუ იქნები კვლავ უგნური!

გადმოხედე ამდენ ბედკრულს

ენატრებათ ლუკმა პური...

ირავლივ ლატაკ-დამშეულოთ

გოდება და კენესა ისმის...

შენ კი ფულეებში კოჭაობ,

რომ ინახავ, ნეტავ ვისთვის!?

აწ დაფიქრდი, მოიგონე

შიმშილისგან გამწარება,

თვით ხომ გახსოვს რა კარგია

შემწეობა — დახმარება.

კ. ენოსისელი.



თავის გაბნა სჯობია-სახელის გაბნას.

შენიშვნა შენიშვნაზედ

(მდაბიო მკითხველთა ურადსადები)

გაგრძელება *)

კიდევ „მოძრაობის“ ფაქტიურად გამოქვეყნებამდინაც კი შეაჯობდი კაცი, რომ ეს მოძრაობა გარეგნულ „ფორმაში“, გარეგნულ ტანისამოსში, გახვევას აპირებდა: მოძრაობის მქადაგებელნი (ნამეტნავთ სოფლათ) უმეტეს ნაწილათ სრულიად უფიცნი იყვნენ და საუცხოვო აზრაც ავრცელებდნენ ჯერ კიდევ განუფითარებელ ხალხში. სხვათა შორის, მეც ცხადად ვხედავდი, რომ ასეთი უფიცი პირები უფრო დამარცხებისაკენ მიაქანებდნენ ხალხს, ვიდრე გამარჯვებისაკენ და ამ მოსალოდნელ ფათერაკ ს თავისაგან ასაცილებლათ მე ვსწერდი (ამავე წიგნის მე 121 და 134 გვერდზედ) მცოდნე მეთაურების საყურადღებოთ; „იმისთანა საშიშო და საფათერაკო არა არის რა ქვეყნისთვის როგორც ამავე ქვეყნის მტერ-მოყვარეთა ერთმანეთში არევი-დარევა. და ეს არევი-დარევა ხდება სწორეთ მაშინ, როცა რომელიმე ხალხში უკვე იწყებს მრავლებას ისეთი ჯურის ინტელიგენტი-მოღვაწენი, რომლებიც (მშრომელ ხალხთა თვალების ასახვევით) სიტყვიტ ქვეყნისათვის იღწვიან და საქმით (თავიანთი საქციელით) კი საშიხელად მტრობენ მას. აი, სწორეთ ასეთი ჯურის მოღვაწენი გამრავლდა დღეს ჩვენში და თუ მათდა საწინაღმდეგოთ ახლავე არ ვიდონეთ რაიმე, იმათი რიცხვი მალე ნამდვილ მოღვაწეთა რიცხვს გადააჭარბებს. და შემდეგ ხომ გვიან-და იქნება მეთქი“.

ნეტავი რას გვეტყვის ჰმაზედ „შენიშვნების“ ავტორი? ეს ჩვენი მაშინდელი მოსახრება სინამდვილეს უფრო უდგევი დღეს, თუ ქუჩურ ლიტერატურას?! ქვეით ამავე წიგნის მე-134 გვერდზედ ვსწერდი:

„ყველა ერის განათლება განვითარების საქმეში ერთი ისეთი დროც ურევა, რომლის განმავლობაშიაც ხალხის გაქანება საითაც მოისურვებთ იქით შეგიძლიათ: გინდ წარმატებისაკენ და გინდ დამარცხებისაკენ. ეს ის დროა, როცა რომელიმე ერის მდაბიოთა უმეტესობა უკვე შეიგნებს სწავლა-განათლების მნიშვნელობას და უკვე დაუწყებს მას ძებნას. ამ შემთხვევაში ის ნდობით უყუბრებს ყველა ნასწავლს და ყოველ გვარ მის დაპირება-დარიგებას უშიშრათაც ღებულობს ეს დრო ხალხის განვითარება-განათლების საქმეში ისეთი ხანაა, ანუ წუთი, როცა მთელი ერის როგორც აყვავება-წარმართება, ისე დამარცხება-გათახსირებაც, ამავე ერის ნასწავლ მეთაურებზედ ჰკიდია...“

აი, სწორეთ ასეთი დრო დაუდგა დღეს გურიას. ის უკვე განიკდის დღეს ისეთ ხანას, როცა მდაბიო ხალხის ერთი ნაწილი უკვე თვალზე დახუჭული მისდევს უკან ნასწავლ დიპლომანებს და ყოველთვის და ყველაფერში მათი დაპირება დარიგების ყურმოკრილ მონათ ხდება. მონათ ხდება არა იმიტომ, რომ მას ეშინია ვნაქი, არამედ იმიტომ რომ დღეს იგი თავის მდგომარეობის გააუმჯობესებელ ძალას თავისივე ცოდნა-განვითარებაში ხედავს და მის მომცემათ კი ნასწავლი ინტელიგენტი მიაჩნია. რატომ მისდევს ის ნასწავლს თვალზე დახუჭული?—იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ არ მი-

სულა იმდენ გონებრივ განვითარებამდის, რომ კრებულ შესქძლოს მეთაურების მოქმედება-მიმართულებების კარგად გაჩევა, გამოცნობა და ამიტომაც მანამდის ალტაცებით ღებულობს მათ დაპირებას და ბრძნებას, სანამდის ან მთლად არ დაწინაურდება, განათლება, ან სრულებით არ დაეცემა და გათახსირდება... მაგრამ... ვი, თუ მეთაურებისადმი ასეთი ნდობა ხალხს ბოლოს სანანებლათ გაუხდა!... ასეთი ნდობით მოტყუებულნი (იმედ-გაცრუებულნი) ხალხი საუკუნოებით უკან იწევს და მის ხელ-მეორეთ შემობრუნება-ამოძრავებას ასჯერ იმაზედ მეტ შრომას და მსხვერპლს მოითხოვს მეთაურებისაგან, ვიდრე აქნობამდის იყო საჭირო მეთქი და სხ...“


ახლა გვითხრას „შენიშვნების“ ავტორმა: ტყუილია ყველა ეს, თუ მართალი? თუ მართალია მაშ, რათ მოი სურვა მან თავიანთ თანამოაზრებებში, ამ გვარ ჩემი მოსაზრების ქუჩურ ლიტერატურათ გასაღება?

მე-154 გვერდზედ ვსწერდი: „ერთის მხრით დაუდევრობა და სიზარმაცებელ აღმოცენებული უზნეობა, მეორე მხრით აზრთა ერთმანეთში არევი-დარევა და გონებრივი სიჩლუნგი-ქმნის მთელ ქვეყანას ყოველ-გვარ უკუღმართობის და ცბიერება-გრყვნილების ასპარეზად. ხალხი მანამდის უმკლავდება ასეთ მოვლენას, სანამდის მისი გონიერი ნაწილი შედარებით ძლიერია; ხოლო რა კი გონიერთა რიცხვი გაუსწორდება უგნურთა რიცხვს, შემდეგ მას დიდ ხანს აღარ შეუძლია ასეთ მდგომარეობაში გაძლება: გამარჯვების სასწორი, აღრე თუ გვიან, უკუღმართობისკენ გადისხება... და ბოლოს ხალხის გონიერი ნაწილი იმდენათ სუსტდება, რომ ცხადათ უგნურობასთან შებრძოლებასაც კი ვეღარ ბედავს... მის წინააღმდეგ თავისი აზრის გამოთქმას გაუბრძის“ და სხ...“

ახლა ერთი ვკითხოთ „შენიშვნების“ ავტორს: ამჩნევს ის დღეს ხალხში აეთ მოვლენას, თუ არა? თუ არ ამჩნევს, მაშინ კეთილ ინებოს და ჩამობრძანდეს სოფელში ჩვენთან და ჩვენ უჩვენებთ ურწმუნო თომას არა ერთს და ორს, არამედ ათს და ასს ისეთ პირებს, რომლებიც თითვეული წინააღმდეგია ქურდობა—ავაზაკობის, კიდევაც იცნობენ იმათ უმეტესობას, მაგრამ ამისდა მიუხედავად ერთათ ყველა სდუმს!.. რატომ?—მიტომ, რომ ერთს უნდა—მეორემ სთქვას, მეორეს უნდა მესამეს შეებრძოლოს და ასე ბოლომდის... რათ იქცვიან ასე? რა არის ამის მიზეზი?—მიზეზი ის განლაგს, რომ ქურდები და ავაზაკები გამრავლდენ, ორგანიზაციები შეადგინეს, ყველა სოფელში ბუდეები გაიჩინეს, შეიარაღდნენ და ამნაირად გაძლიერდნენ. ვინც მათ წინააღმდეგ პირველად ამოიღებს ხმას, მას ან სიკვდილი მოეღის, ან დაწვა და ამიტომ გახდა საშიშო ხმის ამოდება. რა კაცებია ეს ქურდები? როგორი პირები შეადგენენ მათ უმეტესობას აი, საკითხი, რომლის გამორკვევას გირჩევთ თქვენვე შეუდგეთ. ვგონებ, რაც ამოვწერე ისიც მეტია იმის დასახნათ, თუ რა მიზნით დაგვიწერია ჩვენ პირველი წიგნი.

ახლა მოვიყვანოთ ორიოდვე წინადადება მეორე წიგნაკიდანაც („საღლეისო წერილი ქართველ სოფლებს“). დავინახე რა, რომ ამ ჩემი გულ-წრფელი მხილებით არამც თუ არ სარგებლობდნენ სოფლათ მომქმედნი აგიტატორ—პროპაგანდისტები, არამედ განძრახ თვალებს იხუჭავდნენ და ხშირათ ხელსაც აფარებდნენ ხალხის მოქმედებაში შეპარულ შეცდომა ნაკლულოვანებს, მე ვსწერდი აღნიშნულ წიგნაკის მე-4 გვერდზედ: „დღეს არამც თუ საზოგადოებაშიდ, არამედ პრესაშიაც კი პირში სიმართლის მოქმედლ—პირ-მოთნეთა

*) იხ. „ნიშნადურის“ № 50,



რიცხვი სკარბობს!.. გარდა „ყაჩაღ“-ყაჩაღ! და „მიდი“-მიდი“-ს მეტი სხვა არა გესმის რა... თითქო მისვლის მეტი აღარაფერი იყო სპირიო!.. უეჭველია, აქ ან ხალხი მართლაც შეუცდომლათ მოქმედებს, ან და მათ წინაშე ზემო აღნიშნული პირები სტყუიან. რა უნდა გაკეთდეს (გვ. მე-5) მართა ქება-წაქეზებით იქ, სადაც თვით ამ წანაქეზებ ხალხთა მოქმედებაში მათივე მისწრაფების შემფერხებელი შეცდომები შეუმჩნევლათ ფართი-მურთობენ—მეთქი“ და სხ... და განა ამ გვარ შეცდომების დროზედ გაუსწორებლობამ არ წახდინა საქმე! თუ კი წახდინა მაშ, რაში გვდებს ბრალს „შენიშვნების“ ავტორი? ნუ თუ იმაში, რომ მე ყველა ესენი დროზედ ავღნიშნე?!!

ჩაყვეთ ქვეით. შემდეგ შევაჩინე რა, რომ აბობოქრებული ხალხი სოფლათ-ეკლესიების და კანცელარიების ძარცვა-გადაწვას ჰკიდებს ხელს (და საქმის ვითარება კი სულ სხვას მოითხოვდა); რომ ხალხის მეთაურობას სოფლათ და ამ გვარ საქციელზედ წაქეზებას—სრულიათ უფიცნი კისრულობდნენ... მცოდნე და შეგნებულები უფრო ქალაქებს ეტანებოდნენ და ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღების ღირსადაც არა სთვლიდნენ, მე ვსწერდი ამ მეორე წიგნაკის მე-8 გვერდზე:

„ასეთი უფიცი პირები, დღეს, საშინლათ გამრავლდნენ. ისინი დაძვრებიან სოფლებში და „კომიტეტის“ სახელით ჰპირდებიან სოფლელებს: ყავლად უმიზნოდ და უადგილოდ მეზობლების მოკვლას (მაგალ. უდანაშაულოთ სისხლის დაღვრისა-თითოეულ სოფელში მოიპოვება), კანცელარია, ეკლესიების გაძარცვა-დაწვას, თვად-აზნაურების ძალ-მომრეობით დასჯას, დამორჩილებას და სხ... ნუ თუ ასეთმა „სრუ მეთაურებმა ისიც კი არ იციან, რომ თითოეულ ასეთ შემცთარ მოქმედებისგან გამონაწერი შხამი-კვი ისევ ამავე ხალხს მოუწევს დასალევათ? მეთქი“ და სხ...

ახლა ვეკითხები „შენიშვნების“ ავტორს: მოუწია თუ არა-ეს შხამი დასალევათ ხალხს იქ, სადაც-კი მან, უფიც აგენტების შემწეობით, ასეთი შეცდომა ჩაიდინა? თუ კი მოუწია მაშ, რაღას გვებრძვით? რაღას გვაბეზღებთ? ნუ თუ იმიტომ, რომ ყველა ესენი მე წინდა წინვე შევატყობინე მოძრაობის ხელ-მძღვანელებს?! შემდეგ დავინახე რა, რომ ფაქტიური მოქმედების ადგილს—ხალხთა თვალების ამხვევი „ფრაზები“ იჭერდა, მე ვწერდი:

„მართა ვაზაფხული მოახლოვდა—მოახლოვდა“ ძახილი არა კმარა. საჭიროა სიტყვის საქმეთ ქცევა, თორემ მართა სიტყვიერი სიხარული რა თავში იხალოს ხალხმა!“—მეთქი. და განა, დღეს, მართა „ფრაზების“ აღმა-დაღმა ფრიალის მეტს აკეთებს კი ვინმე რამეს?! მე-10 გვერდზე მე ვსწერდი: „მოწინავე საზოგადოებასთან ერთათ, პრესაც მართა „კარგი კარგის“ ძახილით კმაყოფილდება; ხოლო თუ რა ნაირად შეიძლება ამ კარგთან მიღწევა და მისი დაუმარცხებელად მოპოვება, ამებასთვის კი თავსაც არ იწუნებდნენ“..

შემდეგ დავატყვე რა, რომ ტერორისტული აქტები, სოფლათ, წარა მართა ხდებოდა... რომ ასეთი მომქმედნი, პირნი პირადეული ინტერესის გამო, თავიანთ მეზობლებს წუთის სოფელს ასალმებდა და ამავე დროს ხალხს კი ეუბნებოდა (თავის გასამართლებლად), რომ ესა და ეს პირი ჯაშუშობდა და იმიტომ მოგვკალიო... ხალხსაც სჯეროდა ეს და გაიკცხვის მაგიერ, პატივისცემით ეგებებოდა ამ გვარ ვაჟ-ბატონებს. ყველა ამავს ადგილობრივი ორგანიზაციებიც კარგად ხედავდნენ, მაგრამ, რაღაც მოსაზრებით, ხმას არ

იღებდნენ, მე თავის დროზედ ესეც ავღნიშნე: ასეთი „ტერორი შესაძლებელია-სულ მოკლე დროში, ზნე-დღესღესი ავაზაკთა იარაღთ გარდაიქცეს-მეთქი“ და სხ...
 ახლა ვეკითხები „შენიშვნების“ ავტორს: გადაიქცა, თუ არა ამ გვარი ტერორი, დღეს, ავაზაკების იარაღთ? როგორც მკითხველი ხედავს, აქ მე ს. დ. მოქმედებაში შეპარულ შეცდომებს ვებრძოდი და არა ს. დ. პარტიას. ამით მე (რომ ესარგებლა) დახმარებას უწევდი მას. ჩემი მიზანი იყო იმ მარცხის თავისგან აცილება, რომელიც უკვე განიცადა პარტიასთან ერთათ-ხალხმაც; მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ „შენიშვნების“ ავტორისთანა ვაჟ-ბატონებმა არამც თუ ყურადღების ღირსად არ სცნეს ეგ ჩვენი გულ-წრფელი გაფრთხილება, არამედ საზიანოთაც გამოაცხადეს ხალხში მისი წაკითხვა... თავის საკუთარ ოჯახში ვაგზავნილ წიგნებს-ავაზაკებივით გზაში დაუხვდნენ, დაიჭირეს და (ს. დ. პარტიის წარმომადგენელთა ბრძანებით) საღდაც გააქარეს!..

ახლა თვით „შენიშვნების“ ავტორმა ბრძანოს: ამას შემდეგ როგორ უნდა მოვქცეულიყავი მე? გაგზუმებულიყავი?—ეს ზომ ს. დ-ემ. უფიც აგენტების ყალბი მოქმედების სამსახური იქნებოდა—ჩემის მხრით? დიახ, იქნებოდა და ამიტომაც კვლავათ ავღნიშნე რა, თავის მესამე წიგნაკში („სადღესიო საუბარი სოფელდ მკითხველთან“) ყველა ის ს. დ. პარტიის სახელით ჩანადენი უგვანო მოქმედება—საქციელნი, რომლებიც დამარცხებას უმზადებდა ხალხს, ეს წიგნაკი მე სხვათა შორის ასეთი წინადადებით დავაბოლავე (გვ. 83):

„ამ ნაირათ, ეს ერთი ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა, იქნებ თავისდა შეუმჩნევლათაც, ხელს უწყობს ხალხის—ერთი მონობის სამეფოდგან—მეორე მონობის სამეფოში გადასვლას... ს. დ. დანარჩენმა გონიერმა ნაწილმა უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს—თავიანთ თანამოაზრეთა აღნიშნული შემცდარ მოქმედებას, თუ კი სურს, რომ ეს ყალბი მოქმედება მთელი პარტიის კუთვნილებათ არ იქნას აღიარებული—მეთქი“. და აი, როცა ეს უკანასკნელი მეგობრული გაფრთხილებაც „პროვოკატორობათ“ მონათლეს და ამ წიგნაკსაც დევნა დაუწყეს, შემდეგ და მხოლოდ შემდეგ მივეცინება თავის თავს მელაპარაკა, მეოთხე წიგნაკში, მთელ ჩვენებურ ს. დ. პარტიის დაუდევრობა—სიყალბეზედ.

ახლა გვითხრას „შენიშვნების“ ავტორმა: რომელი ხალხის გულ-წრფელი მეგობარი არ მოიქცეოდა ასე? გვითხრას: ვისთვის და რისთვის ვსწერდით ჩვენ ყველა ამავს? ამით ჩვენ სოც-დემოკრატიის სახელის გატეხას ვსცდილობდით, თუ მათ მოქმედებაში შეპარული შეცდომა—ნაკულლოვანების აღმოფხვრას? ამ გვარ გაფრთხილებით, ჩვენ, ს. დ. პარტიის დაცემა გვინდოდა, თუ იმათ უფიც წევრთა ავაზაკურ მოქმედების დროზედ ალაგმვა? დიახ, „შენიშვნების“ ავტორო, ჩვენ გვინდოდა თქვენისთანა ვაჟ-ბატონების მოქმედებაში შეპარულ სიყალბის აღმოფხვრა და უფიც წევრებთაგან, სოც-დემოკრატიის სახელით ჩანადენ, უვაზაკურ მოქმედების ალაგმვა... და არა პარტიის სახელის გატეხა, როგორც ეს თქვენა გგონიათ!.. მე მეგონა, რომ ასეთ ჩემს გაფრთხილებას სიხარულით მიიღებდა პარტიის გონიერი ნაწილი და შემდეგ თვითონ შეებრძოლებოდა ყველა იმას, რაებზედაც ჩვენ უთითებდით, მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდი: მისმა გონიერმა ნაწილმა განძრახ თვალები დახუჭა და თავი მოიყრუა; ხოლო უგზურმა ნაწილმა-კი ეს წიგნები ზოგი დასწვა, ზოგიც დაატყვევა. ასეთმა უგზურობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ამ

...

ნაყოფით უკვე სტკბება, დღეს, ჩვენთან ერთად მთელი სოფელი მშრომლებიც.

სამწუხაროთ, დღესაც ასეთსავე მოვლენას ვხედავთ... ყველა გონიერ ადამიანის და მით უმეტეს სოციალისტურ პარტიის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა თამამად დაეგმო ყველა იმ გვარი საზიზღარი საქციელი, როგორც იყო მაგ., ადამიანისგან—ადამიანისთვის თითების დაჭრა და შემდეგ ამ თითების სხვის დასანახათ (სიკარებრივით) წოვა; ადამიანისგან—ადამიანისთვის ხერხით თავის წაჭრა; ადამიანისგან—ცოცხალ ადამიანის მიწაში ჩამარხვა და შემდეგ ცხვირის, ყურების და ენის ამოჭრა; შეკრულ ადამიანზე ფიხის დაყრა და ცეცხლის წაკიდება და სხვა აკვარები... დედაკაცის შვილების თანადანწრებით გაუპატიურება და სხვა სისაძაგლე... გვეგონა რომ სხვებთან ერთად, სოც.-დემოკრატიაც გამოაცხადებდა, თავიანთ წევრთა საყურადღებოთ, რომ რაც იყო-იყო და ეხლა მინც ფრთხილად უნდა მოვეპყრათ საქმეს და ყოველივე ჩვენის ძალ-ღონით შევებრძოლოთ ყველა ამ გვარ ავაზაკობის ჩამდნთ, მაგრამ აქაც მოვეტყუდით: „მკითხველის შენიშვნების“ ავტორთან ერთად. ს. დ. ორგანო „მერცხალი“-ც არამც თუ ებრძვის ასეთ თავიანთ უვიც აგენტების ზნე-დაცემულ მოქმედებას, არამედ დიდის გულ-მოღვინებით კლავად ხელს აფარებს მათ; ამიტომ ყველა იმათ, ვინც-კი ამ გვარ ავაზაკურ მოქმედების გამოაშკარავენ გაბედავს, „პროვოკატორის“ და „ქუჩის“ ლიტერატორის სახელით იხსენიებს!!! ამისდა მიხედვით, რა თქმა უნდა, „შენიშვნების“ ავტორისთანა ვაუბატონებს არც დღეს შეუშლის ხელს რაიმე ამ წერილსაც „ქუჩის“ ლიტერატურა და „პროვოკატორობა“ დაარქვას, მაგრამ სამაგიეროდ ვერც მე შემიშლის რაიმე ხელს ამ გვარ საზიზღარ ფაქტების აღნიშვნით (რომლითაც ასე მდიდარია გურია), სასიკვდილო ჭრილობა დავასვ: განძრახ დაბრმავებულ „პრესის-ძმა ბიჭებს.“

რაც შეეხება „მერცხლის“ და მათ შემკვიდრე რედაქციას, მე ჯერჯერობით ორ კითხვას უყენებ: იცოდა მან, თუ არა რომ (იმ დროს) მისი (ე. ი. ს. დ.) სახელით აღნიშნულ საზიზღარობებს ჩადიდნენ და თუ იცოდა რა ღონეს ღონობდა იმათდა ასალავმავათ?

ტ. ართმელაძე

უჩიტიმო. ლექსები

სხვისი მონები, სხვისი მორჩილნი
სამშობლო ქვეყნის დამღუპველები
მუდამ ცალ-მხრივნი, უსამართლონი

თვის მიწა-წყალსა არად აფასენ,
შუბლ გარეცხილნი, ღმერთ გამწყარალები
ავტონომია წუმზე გონიათ

კუჭის მრწამსი აქვთ ძვალში გამჯდარი,
ცენტრალიზმისა მოციქულები,
ყვლეფა-გაღლეტის, განადგურების

ძმობა-ერთობის, თავისუფლების
მხოლოდ თავისთვის მონატრულები
ურჩნი, ვერაგნი, ცრუბენტელები

კვანწარანი.

სტენები სტენისათვის

ბენიეკი შკაზარობა.

მევიდა ნთლილება, ღმერთმა მრავალს დაგასწროთ; ვინც უცოლოა ღმერთმა მრავალი ცოლი მისცეს და ვინც გასათხოვარია ღმერთმა მრავლჯერ გაათხოვოს!..

მევიდა ნათლილება და გადამეკიდა ჩემი დედა-კაცი—წამიყვანე ჩემს ნათლისთანაო.

დავაცხოვრებე ღვეძილები, დავკალი ყვერულები, ჩავაწყე ხურჯინში ყველაფეურობა და ერთი ტიკი ღკნოც და გოქიც, ამევიდევი ღლიაში ერთი ინდოური, გევიგდე წინ დედა-კაცი და გაუდექით ნათლისაკენ...

რო მივედით, შენი ჭირიშე—შენ გენაცვალე, ჩხომურის წყალთან და აჰა, უნდა გედევით ბოგირზე, გევიხდე ვინცხა ულაშებ გადაგრეხილი კაცი მოდის... უი. შენ კი გენაცვალეო! უთხრა ჩემა დედაკაცმა, გადაეხვია და ქე არ გადაპროშტა... შევაჩერდი თხასავით... რო წვევიდა ეს კაცი, ჩემს დედაკაცს ვეუბნები: დედაკაცო, ვინ იყო ის კაცი თქვა—უი, გენაცვალე, ის ჩემი ბაბუის ძმის მამიდაშვილის ძროხის მოზიარეს მოზიარის შეილიაო!—აი შე მყრალო-თქვა! უთხარი და მოურთე ინდოური გვერდებში. ქე არ შემომაკვდა ინდოური! მევიხდე, ქე არ მირბის გოქი! გამევეკიდე, დურთა თავი ტყეში! მოვბრუნდი, სადაა ჩემი დედაკაცი? მევიხდე, რას შეხედავ: ტიკი დაცემია ეკალს და ღვინოს გააქს თხრიშინ-თხრიშინი!..

მოვბრუნდი სახში, სადაა ჩემი დედაკაცი! თუ რმე, ნუ იტყვი, წასულა და თავის ბაბუის ძმის მამიდაშვილის ძროხის მოზიარის შეილი-შვილს დაჯდომია ხასათ. მე ქე დავრჩი ხახა-მშრალი!

ვასო ბალანჩივაძე.

ამდროული სიბრძნე

ცარიელ თავს—ცარიელი ჭურვი სჯობიან.
ღვინით მთვრალი სჯობს—ღვინოვანობით მთვრალს.
განმეორება - ღვინოში წყლის გარეკას უდრის.
ტყუილს თუ მოკლე ფეხები აქვს, სამაგიეროდ ჭკრს—გრძელი ეხა.
უსინდისო მწკრალი—გაკატრებულ ფაჭარსა ჭკავს.
უაზრო და უღადიო კაცი—უცხენო მხედარს ემსკავსება.
ქართველ მარქსისტებს რომ მარქსი როდისმე წაკითხათ—უკუდმართი და უკუათი არ იქნებოდნენ.
უკვდა „მუშა“—მუშა როდია.

„ნაპერწყლის“ აზრით „კლასთა ბრძოლა“ მუშტი-კრივი და სოციალ-დემოკრატია.

ჩვენებური ესდევნება მდაბიო ხალხს იმიტომ ეტრ-ფის, რომ იგი უკვლახე უფრო ადვილად სტრუქტურდება.

სამშობლოს უარისყოფა—თვით შობიარობის უარ-ყოფა.

მონადირე

ო.თხი წლის სამსახური *)

სოფლის ექიმის ცხოვრებიდან

II

სამშობლოში.

გულის ტრიალით გამოგეშურე ჩემი სუფარული სამ-შობლოსაკენ. ჩემი სიჭაბუკის ნატურა იყო სამშობლოში მოდგაწეობა. თათრებს ვერ შეგეჩვიე, ვერ დაუხლადგდი, მათ შორის ცხელათ ვგრძნობდი თავს. რა კი საქართვე-ლოში გადმოვდიოდდი, შეკანა აწ ჩემი ცნობების გზა ია ვარდით მოფენილი იქნებოდა და, როგორც მე შენ-ტრებოდა ქართველთა ნახვა, ისეაივე სიხარულით მომე-გებებოდენ ივინიც.

მივედი დანიშნულ ადგილას, ერთ მიერუბულ სო-ფელში და, რა კი ბინა ვერსად ვიშოვნე, სამკურნალოში გაჩერდი. ოჰ! ღმერთო, რა ვნახე: რა უბატონოდ იყო ქსენონი! ორი ბინძური ოთახი ეჭირათ ფერშელებს, სამს ოთახში მოთავსებული იყო: აფთეკა, ექიმის კაბინეტი, მასცადელი ოთახი, სააპერატორი, სწოლი ფერშელებს ვთხროე და, უშეგელისთ ღმერთმა, ის ორი ოთახი დამი-თქეს, შენობა ჯერ დაუმთავრებული იყო. კედელი ნედლი ლიზით იყო შეღესილი; ოატაკი ხერვლებით იყო დახერვ-ტილი და ზედ მიწაზე ეკო. ძველებურ ქართულ ბუხრებს უშეგლებული ზირები დაელოთ. თუ ცეცხლს დანთებდი, ბოლით აივსებოდა იქაობა. სინესტე, სიბინძურე და ზამ-თარში საშინელი სიცივე — ასეთა იყო ამ შენობის თვი-სება! საკანებელში ჩავარდი, ვეკითხებოდი თავს, რო-გორ უნდა გასძღონ ჩემმა ზატარა შვილებმა ზამთარში ამ ჯოჯოხეთშითქო.

თურმე საქმე აი როგორ იყო. ჩემი წინა მოადგი-ლე სხვაგან გადასულიყო და სამკურნალოს სახლი გუ-ბერნიის ექიმის თანაშემწეს და ადგილობრივ ბოქაულს დაექიანავებინათ და აბა ივინი თავს რად შეიწუხებდენ სამ-კურნალოს და ექიმისათვის! მერე კიდევ: სოფელი „ზრი-გოგორით“ კარიგებოდა სახლის ზატარის წელიწადში ოც-და-ათ თუმნად ხუთი წლის ვადით. თუ სხვაგან გადიტან-დენ სამკურნალოს, ახალი „ზრიგოგორი“ დასჭირდებოდათ, და, თუ სოფელი უარს იტყოდა, „ვრახიბნოე ოტდელე-ნიე“ ოცდაათი თუმნის ეკონომიას დაჭკარგავდა და სწო-რედ ამ ოცდაათი თუმნის გულისთვის დაგპტანჯეს მეც და აფადმყოფებიც. მაგრამ ამაზე შემდეგ.

მეორე დღეს, როგორც ადამის შეგნება, [შეგრძობა] შივდა. ჩემი მასშინძელი, სახლის ზატარის [შეგრძობა] რობდა. გავიგე, რომ ძალიან „კლიაუნნიეი“ იყო, მას-გივრად „ზურმარისს“ უჭებდენ. მაგრამ ღმერთმა კი შე-ანდხინონს იმისთანა ზურმარისი: თითხ ზურში თითხ შაური გადამანდევინა, მერე როგორ ზურში: სამი მეო-თხელი მიწა და გორვალა იყო, ერთი სიტყვით ძაღლი არ შესწამდა.

მე ჯერ ვიზიტი არ გამოვეკეთებინა, რომ დილას ადრე გუღმისული, ზირიშქეში შემომიჭრა ჩემთან მას-ზინძლის მეუღლე. „გავიგე, რომ ეს ბინა არ მოგწონსთ; ჩემთვის სულ ერთია, გინდ მოგწონდესთ, გინდ არა! ხუთ წლამდის ვერ გადიტანთ სამკურნალოს ზირობის ძა-ლით. ან კი სად უნდა გადიტანოთ: არსად სახლი არ არის. მე თქვენთან არაფერი საქმე არა მაქვს; მე ვიცი და ბოქაულმა“. ასე მოურიდებლად მიტომ შელანარაკე-ბოდა მასშინძლის ცოლი, რომ, ჯერ ერთი, „კიენია“ იყო, და, მერე, ქმარს მეგობრული დამოკიდებულება ქანდა ბოქაულთან. საქმე კარგად ქანდა მოწყობილ-გა-ჩარხული.

ასე შემეგებენ ჩემი თანამემამულენი, შემოვდგი თუ არა ფეხი ჩემ სამშობლოში. ეჭ! სადღაა ძველებური, ქართული ზურ-მარისი, სტუმართ მოყვარება და ზატი-ასნება! უკვლახური თან წაიღო ვითა ვითარებაში!

განაღდა მიწერ მოწერა. შეიძრა ბიურაკრატული ტობრე, დავარდვიე სინემე, მივწერე მოხსენება, „რა-ზორტი“, უფროს ექიმს, ასე და ასეა საქმე, მომეცი ნე-ბა, სამკურნალო უკეთეს შენობაში გადავიტანოთქო. მე-გონა, ზასუხი ორ კვირაში მომივიდოდა, მაგრამ მხოლოდ ორი თუ სამი თვის შემდეგ მივიდე. თურმე ჩემ „რა-ზორტს“ მთელი წრე შემოაფლო, დიდი მოგზაურობა გამოვცადა, ე. ი. უფროსი ექიმის სელიდგან გადასული-ყო გუბერნიის მმართველის ხელში, მერე მასრის უფროსს მიელო, მერე ბოქაულს; მას უკან ბოქაულის ხელიდგან შემოტრიალებულიყო და განველო უკუდმა იგივე სტანდი-ები; დაბოლოს, ძლივს მახწია ჩემამდის. ბოქაულს მიე-წერა, შენობას ტვეილა იწუნებს ღაქტორი, ვეკლათერი რივიანად არის მოწყობილიო. გავაგზავნე რაზორტი ხელ-მეორედ, და, შეიძლება უფროდ არ ეთხროვებიათ, რომ მიტისმეტი ბნაზ მორეული და შკატრი სიტყვები არ ჩა-მერთო მოხსენებაში უფროსის ბიურაკრატული თავმო-ყვარების გასანელებლად. შემოიარა კიდევ რაზორტმა მთელი წრე სხვა და სხვა ოსტანციებისა და მიახწია მოქაულამდის, მერე ბოქაულიდან გვლავ ჩემამდის და მებ-რვე. გავიდა ნახევარი წელიწადი და რაზორტების ტრიალს არ მოელო ბოლო. უკვლახური წრეს უფლის გარსაო, ამობოდა სოფლომონ ბრძენი. ჩვენებური ბიურაკრატული კანცელარია ნათლად ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას. დიას, ამ ქადაღდათა ფხატენის სამეფოში მუღმივი ტრიალია,



რამორტების, ცირკულიარების; იღვრება აურებელი შე-
 ლანი, წინაინობენ გაშმაგებით კაღები, ერთი მეორეს
 სტეფიან ლაქტა, მონური კილა რამორტების და მედი-
 დური კილა ბრძანებათა. მაგრამ მთელი ეს აურებელი
 ქაღაღი რომ ცეცხლს მისცე, ცხდათ, ქვეყანას არა
 დააკლდება-რა!

ბოლოს, რაღა დავრწმუნდი; რომ მიწერ-მოწერით
 ვერაფერს გავხდებოდი, გადავწყვიტე, ზინდაზინ მოვ-
 ლაზარაკებოდი უფროს ექიმს.

ნამდვილი ბიურკრატია იყო უფროსი ექიმი. უფ-
 როსთან თავმდაბალი და ზინდით იყო, უმცროსთან
 კი დიდგული და ამხარტავანი. შესახედავად მაინც და მა-
 ინც დიდი არაფერი იყო, გამხდარი, ფერმინდილი, მუ-
 დამ მოდრუბლული, ძვირად გაიცინებდა და გამხარულ-
 დებოდა. ვგანებ, კუჭის ავადმყოფობა ქონდა და მიტომ
 იყო სულ მუდამ ცუდ გუნებაზე. რომ დამინახა, ეწინა,
 მრისხნულ შემომხედა, მერე უცბად თავი ძირს დაქინდა
 და ზირშებრუნებულმა გამომისრთა სული ჩამოსართმევით;
 ვუამბე უველაფერი. „რა საჭირო იყო ამისათვის აქ მო-
 სვლაო, ბრძანა მედიდურად: „რომ იცით საქმე სწავლა-
 ებს და, რაღა იქნება, სასურველათ დამთავრდება“. — კი,
 მაგრამ, თუ კიდევ დაგვიანდა საქმე, შეუძლებელი იქნება
 ქსენონში ავადმყოფების მიღებათქო, ვუხასხესებ. უფროსმა
 კანდიდებებში ჩამომართვა ჩემი ზასუხი და მძისხანელ მი-
 თხრა: „თქვენ არ იცით, რა არის სამსახური; მე სასტი-
 კი და უღმობელი ვარ ჩემ უმცროსებთან ისე, როგორც
 ჩემი უფროსი სასტიკია ჩემთან სამსახურის საქმეში. მე-
 რედ აღარ მოცდეთ საქმეს, აღარ მოხვიდეთ აქ ნებადა-
 ურთველად. ზირველი და უკანასკნელი! მე ნებას არ მივ-
 ცემ ჩემ უმცროსებს თაის ნებაზე იარონ, რადგან მეც
 ჩემი უფროსის ნებას ვემორჩილება და სხვ.“ მაგრამ
 მეც გაჟინიანიდი და იმდენი მოვასხესე, რომ დავანიშნე
 „რევიზია“, ე. ი. გამოვზავნა თავისი თანაშემწე ქსენო-
 ნის მდგომარეობის შესამოწმებლად.

მაგრამ სჯობდა კი, არ გამოვზავნა. არ მახსოვს,
 რომ უფროსი ექიმის თანაშემწეს, ოდესმე მინდობილი
 საქმე არ გაუფუჭებია. ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირვე-
 ლია, ავის მეტი არა გამოვიდა რა.

გუბერნიის სატახტო ქალაქიდან ერთათ გავემგზავ-
 რეთ ქსენონისკენ მე და ექიმ-რევიზორი. სასაცილო
 იყო, როგორ იბურებოდა, იფხობებოდა მამალი ინდო-
 რივით. „ყო, რხით ბრძანა, მართალია მექვესე კლასის
 ჩინოვნიკი ვარ, მაგრამ მაზრის უფროსზე უფრო სპა-
 ტიო ადგილი მიჭირავსო“. ჩემზე ხომ ერთი ორად
 უფრო აფასებდა თავს. „რა ნება გაქვთ, რომ ქსენონის
 შენობაში ცხოვრობთო, — მუქარის კილოთი მკითხა, —
 მაკვარ საქციელს არ განატივებენო“!

მეც ჩემი მხრით მგლის კბილები ვაჩვენე, და ამ
 კარემკებამ ძლიერ გაუნელა ბიურკრატის ამდელი სა-
 ღერდელი.

ექიმი.

გამოცანა და მისი ახსნა

მერყეულია, ღმერთ-გამწყრალია,
 ვითომ „პოვეტობს“ ენა-მყრალია;
 მურტალი ხორციო, აზრით უშვერი
 ლაფში ბანაობს ეს რეგვენ-მტერი!..
 მახინჯ-ნაძირალთ ორატორია,
 მენაშ-მეთორნეთ პროფესორია,
 ყოველ მის სუნთქვას ასდის შმორია —
 „შოლტა“, „სუსხ“, „სეტყვისა“ ლედახტორია...
 გინდათ შეიტყოთ ვინ არის იგი,
 ლორს რომ მიუგავს თავი და ღინგი?
 ნათრევე-ნაცემი ქუტყით მთვრალია,
 გამოიციანით? — ევგენ დვალია!...
 ჩულიანი.

პროვინცია

ფოთი საკრედიტო ამხანაგობის საგანგებო
 კრება. 15 ივნისს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მო-
 ხდა ფოთის საკრედიტო ამხანაგობის წევრთა არა ჩვეულ-
 ბრივი კრება. განსახილველად დანიშნული იყო ორი კითხვა:
 ა) რჩევისა და გამგეობის მოხსენება, რომ ნებაყოფლობით
 შეტანილის ფულით გადიდდეს ძირითადი თანხა ამხანაგობისა
 და ბ) არჩევნები ხაზგას ერთი წევრის და მისი კანდიდატისა.
 კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად ამოირჩია ქალაქის
 თავის მოადგილე ი. მ. მუხარაგია. გამგეობის თავმჯდომარემ
 კრებას მოკლე ანგარიში წარუდგინა. როგორც სჩანს ოთხი
 მარტიდან დღემდე წევრებად ჩაწერილან 532 კაცი. ძირი-
 თადი თანხა სახელმწიფო ბანკს მოუტია ამხანაგობისათვის
 2,000 მ. ქალაქის გამგეობას 2,000 მ. მოკლე ვალიანი სე-
 სხი ბანკიდან ვექსელით მიუღიათ 2000 მ. ფულად შემო-
 ტანიათ 45 წევრს 218 მან. 75 კ. გაუტანიათ—25 მ. დარ-
 ხათ მისაცემათ 193 მ. 75 კ. გაუტიათ სესხი 92-კაცზე
 (10—50-ღე) სულ 4210 მან. მიუღიათ ერთი წევრიდან 15
 მან. დარჩა მისაღებათ 96 სესხი სულ 4195 მან. გაცემულ
 ფულზე % 0/0 მიუღიათ 166 მან. 84 კ. სახელმწიფო ბანკს
 % 0/0 59 მ. 33 კ. ფულების გამოსაგზავნი ხარჯი 90 კ.
 ამხანაგობის ვალი ქალაქის თვითმართველობაზე 200 მან.
 გამგეობაზე—£7 მ. 56 კა. სულ კასახში შემოულა 1 მაი-
 სიდან 15 ივნისამდე 6,400 მან. 59 კ. გაუტიათ 6384 მან.
 4* კ. დარჩა კასახში 15 ივნისისათვის 46 მ. 10 კ. კრებამ
 მოისმინა ეს მოხსენება. შემდეგ ბევრი კამათისა დაადგინეს:
 ერთ დროულად შემოიტანონ გამგეობის კასახში დაუბრუნე-
 ბლად ძირითადი საუთარი თანხის გასაძლიერებლად თითო-
 ეულმა წევრმა არა ნაკლებ ერთი მანეთისა, რჩევის წევრად
 ამოირჩიეს კ. ქეილია და თანაშემწედ ი. ჩხარტიშვილი.

ნუკრი.

ფოთი მტყუანი და პირშავი. ნათქვამია
 „კულა ხარი თავისთვის არ იყო სხვებს ბუზებს უგერებლაო“
 სწორედ ასე მოხდით ფოთელ ესდევებს.
 ბატონმა ვოლდერმა გააპრულა „ეშმაკის მათრახში“

მეცნიერული წერილი, რომ „მედგარი“ გამოდის ბულვარში და არაშიყობს“-ო.

მე ჩემს არ ვიტყვი, რომ ეს ამბავი არ არის მართალი მეთქი, მაგრამ დავეკითხები ბ-ნ ვოლდემირს: რა პოზიცია უჭირავთ არაშიყობაში ადგილობრივ ესდევებს. წვილფებობაზე არას ვიტყვი, ბ-ნ ვოლდემარ, ეს თქვენც კარგათ იცით თუ ისინი რაებაც ჩადიან; მხოლოდ შიპასუხეთ ვინ არიან ბ.ბ. პ. უ—ძე მარ—ძე (მსხვილ ფეხებში) რომლებსაც პირველი „პრიზი“ აქვთ აღებული არაშიყობ-მაიმუნობაში. ბ-ნ ვოლდემარ, რაღა „მედგარს“ წამოკართ ხელი „Чѣмъ кумушекъ считать трудиться не лучше ли на себя, кума обратиться“! მაშ ბ-ნ ვოლდემარ, ისეთს ნურას დასწერთ, რომ თქვენ თვითონ გისაყვედურონ და გაგატყუნონ. არაშიყობა მაიმუნობაში და სიცრუე მაიმუნობაში რომ ს.-დ. ყველაზე წინ დგანან ეს ყველასათვის დღეს ცხადი და აშკარაა. არა ერთხელ ყოფილა ესდევური «საზიზღრობა» ჟურნალ გაზეთებში აღნიშნული, და თუ საჭიროება მოითხოვს და თქვენი ნებაც იქნება თქვენს, საგმარო საქმეებსაც აღნიშნავთ უმეტ ნაკლებოდ და სრულის სისწორით, რადგან პოეტისა არ იყოს.

„კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“

პატივისცემით კ. დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი.

ფოთი. სანიშადურო პირნი და საქმენი, ნიშადურის გამწესრიგებელ ბატონო, მოიღეთ თქვენი წყალობა და მოგვაშველეთ საჩქაროთ ნიშადურის ცხარე და მწვავე წვეთები შემდეგი საქციელისათვის:

პირველი—აქ ხშირია კერძო ლატარიები. საზოგადოებას ხელს მოაწერინებენ ხოლმე სალატარიოთ ჩადებულ ოქროს საათზე ერთ ერთ გასართობ „ვეჩერზე“.. მაგრამ აღარც საათი. არც გასართობი.—

თურმე ხერხია ხელმოსათობი!.. ხოლო გასართობი „ვეჩერი“ ისეთია, რომ უკანასკნელ მიკიტანხანაში უფრო წესი და რიგია ვიდრე იმ ვეჩერებზე...

სმა და ლოთობა უზომო, მერე ჩხუბი, პირის მტრევა, ბოთლ ჭურჭლებით თავში ცემა სისხლის ნთხევა, გულის რევა...

მდაბიურათ რომ ვსთქვათ, ასეთ ლატარია გასართობებს უფრო ძარცვა-გლეჯა ანუ ეხლანდელი მოდური სიტყვა ექსპროპრიაცია ეწოდება...

მეორე—ვსთქვათ ქართველ ყმაწვილებში—ქალ-ვაჟებში საუბარია გამართული და საინტერესო კამათი. თქვენ გგონიათ. რომ ამ გვარ წრეში ქართულს გაიგანებთ, თქვენც არ მომიკვდეთ! მოყვებიან ბატონო რაღაც ჩიქორთულს, პორუსკულს და არის ერთი ბაბილონისებური არეუ დარევა ენისა!.. ნეტა რომელი ეშმაკი აძალებს ამ უბადრუკებს იმ ენაზე ლაპარაკს, რომელიც არც იციან და არც ეხერხებათ... ნიშადური თუ მოარჯულებს ამ ცხრა რჯულა ხალხს!..

მესამე—პირველად მე დიდი მოტრფიალე ვარ ყოველნაირის თავისუფლებისა, თუ ამ თავისუფლებას აზრათ და საგნათ სიკეთე აქვს, მაგრამ როცა თავისუფლების სამოსელში იფარება გარყვნილება და კურო-ბოზობა, მაშინ კი ასეთი თავისუფლება დასაგმობი და დასაფოლია. ერთს აქაურ ქუჩაზე ამ ბოლოს დროს ძრიელ ამტყვრებენ ნახტომი უშლილი ბარიშნები, რომელთაც „ხელის-ხელ საგოგმანებლად“ გაუხდიათ ვილაც მკედლის შეგირდი და მეთევზეს ნოქარი.....

არის ერთი შეხლა—შემოხლა, ოხვრა და თვალების პრუწვა... სწორედ სირცხვილია, როცა ბარიშნები ძუენა-მალეობის-ბროვას გაგონებენ გაზაფხულის პირზე... ნიშადური თუ განიხად ფხიზლებს ამ გადარეულ ბარიშნებს!

მეოთხე—წახედულობით ირყვენა ქვეყანა. სენი უკუღმართი თავისუფლები! აქაურ მოზარდ თაობასაც მოედო. ამ შემთხვევაში ორივე სქესის მოწაფეები ერთი მეორეს არ ჩამოუვარდებიან... უგზო უკვლოდ ხეტიალი, არაშიყოფა და მიჯნურობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ვის ახსოვს მეცნიერება და სწავლა! ყოველ კვირა იბრუნება ცალკე „პრაკლამაციებად“ მესტიერული შაირები „კონინისტებსა“ და „გოროდისტებს“ შორის.— უშნო, უგემო და და უგბილო ლექსებით ამკობენ ერთმანეთს. ერთს ამგვარს ლექს ნიმუშად გიგზავნით რედაქციაში... მოიღეთ ბატონო თქვენი წყალობა და სუსხეთ ამ აცუნტრუკებულ ბავშვებს და მცირე წლოვან მოშაირებს თქვენი მწვავე ნიშადურის კაპლები. ეგებ გონს მოვიდნენ, დარცხვეთ და ხელი აიღონ შეუფერებელ და სამარცკი-ნო საქციელისაგან!

არ შეგვიძლია არ დავგმოთ ის მესტამე, ის ასოთ ამწყობნი, რომელნიც უბეჭდავენ ხსენებულ მოწაფეთ სულელურ შაირებს... იმ დალოცვილებმა, თუ დრო და ხალისი აქეთსხვა რაიმე სახიერო ან სასარგებლო დაბეჭდონ... ამათაც ნიშადური მოუხდება!

ნოდ—არ.


ქუთაისი. ჩვენებური რაზმი-რუმი, ეხლახან

ქალაქის საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ძველი ხარჯი და აღმოაჩინა, რომ ქალაქს წარსულ წელს ზარალი მოსვლია 120,000 მან.. ამიტომ ქალაქის „ღუმაშ“ დაადგინა—შემოსავლის გასაძლიერებლად დაადგან გადასახადი „ჩისტებს“ და ნომრებიც დაურიგონ. თითოეული „ჩისტი“ თვეში იხდის 30 კაპ. დადგენილება უკვე სისრულეში მოიყვანეს. ჯერხანათ 11 ნომერია გასული. აზრათა აქვთ ასეთივე გადასახადი დაადგან „ცივიასაც“ (ცივი წყალის გამყიდველთ) თუ ესეც მოახერხეს—გამოანგარიშებულია—წლის დამლევეს ქალაქს მოგება რჩება 250,000 მან.

დიდი მადლობის ღირსია ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომელმაც ბანკის მოგებიდან ახლად დაარსებულ ქართ. დრამ. საზოგადოებას ჯერხანად შემოსწირა ნალდი 00000 მან. არა ჰგავს ტფილისის თავად-აზნაურობას!!

აქაური ქართული დრამ. საზოგად. გამგეობამ, თანახმად გამგეობის წევრის მ. ქორქაშვილის წინადადებისა—დაადგინა: 4 წლით გაიგზავნოს თვით ბ. ქორქაშვილი დრამატიულ კურსებზე რეჟისურის შესასწავლად. ბ. ქორქაშვილს აზრათა აქვს შეისწავლოს მისტიციზმი, რადგან ქართული წარმოდგენების რეალიზში სავსებით ვერ აკმაყოფილებს მის „ქართველ ინტელიგენტურ, უუმწვერვალესად განვითარებულ ესტეტიურ გრძობას“... პირველ ლექციას მისტიციზმზე ქორქაშვილი მოისმენს ქ. ოზურგეთში, სადაც გადაყვანილია სამსახურის გამო. სანამ ქართული სცენის მომავალი ვარსკვლავი სრულიად განათლებოდეს და დაასრულებდეს კურსს ВЪ ОБЛАСТИ НЕОСУЩЕСТВЛЕНАГО—გამგეობამ გადაწყვიტა—ქუთაისში ქართული წარმოდგენები სრულიად მოსპოს.

პროგრესია—მა რა ჯანდაბაა!!



— ნეტა ვინ არის, ვისი ხატია?
— სულთა-მხუთავი ბიუროკრატია!

ამ დღეებში დანიშნულია დრამ. საზოგ. გამგეობის კრება. გადასაწყვეტია— რაც შეიძლება მალე და დიდი ხნით მოსპონ ქართული წარმოდგენები. კრება შესდგება ამნაირად: —თავმჯდომარე თავ. ერისთავი თავს დააჯდება ბახმაროზე (გურიაში). სეკრეტარი ავალიშვილი— ტფილისში, ეპიტაშვილი— თიანეთში, ქორქაშვილი— ოზურგეთში, ბურჯანაძე— ბანოჯაში და აბაკელია-ქუთაისში; მოლაპარაკება გაიმართება უმავთულა ტელეგრაფით, ხოლო ბ. სეკრეტარი სტენოგრაფიულ ანგარიშს ტფილისშივე შეადგენს.

ქალაქის საბჭომ თეატრის შესაკეთებლად გადასდო 7 მ. და 20 კ. ამ თანხით უნდა გასუფთავდეს საჭირო ადგილი და ერთ ადგილს გარდევული ქონის დეკორაცია უნდა გაიკეროს. თეატრში მოსიარულე საზოგადოებას გამოუცხადეს— მომავალ სეზონისათვის თბილი ქურჭები შეაკერინონ.

გესლიანი.

რ ა ზ ა. ძაღვებზე და მძაღვებზე. მას ეამსა შინა, როდესაც გამოცხადდა დაბად და სოფლად 17 ოკტომბრის მანიფესტი და მისცა ნება ყოველ მოქალაქეს თავისუფლად ლაპარაკისა, მოვიდენ დასავლეთის მხრიდან პატარ-პატარა კაცუნები, რომელთაც ეხურათ თანე? ბათმანის მსგავსი კოთხობები. და იყვნენ შემოსილი „ფიჯაკითა“ და „პალტოთა“. ცილინდროსნები დარიგდენ სოფლათ

და დააგინეს ასის თავები და ათის თავები; ყოველ ასის თავს ებრძანა მათ მიერ არ შემოუშვან სოფლათ სხვა ვინმე მოქალაქე, ხოლო უკეთუ ვინმემ ჩაიღინოს თავხედობა და მოვიდეს სოფლათ საქადაგებლათ, მისივე ეცნობოს პირველად სოფლის დამპყრობ მოქადაგსა. შევიდა მოქადაგე ერთ მალლობ ადგილზე და აუწყა სოფელს შემდეგი: ასანთი (სპიჩკა) ორი კოლოფი ეღირება ერთ კაპეიკათ, რომ მას ბანდეროლი არ ეკრას, აგრეთვე შაქარი ინგლისში უფრო იაფია, ვინემ რუსეთში, აქაც რომ იაფი იყოს შაქარი თქვენც შეგიძლიათ ყოველ დღე დალიოთ ჩაი და სხვა. დაიშალა კრება იგი, და ეუბნებოდენ ერთი მეორეს: აჰა გამოგვეცხადა მესსია, რომელმაც გვაუწყა სიმართლე. დაადგა სოფელი აზრსა მოქადაგისასა, რამეთუ მას არ ეხილა უკეთესი. აჰა გამოჩნდა სხვა მოქადაგე, რომელმაც აუწყა ხალხს: მოვედი მე თქვენთვის ანლისა აღთქმისა საქადაგებლათ. ასის თავმა და ათის თავმა მოსთხოვა ახლად მოსულს ბილეთი, დარიგებისმებრ უწინდელი მოქადაგისა, გაჩნდა იგი ძველი მოქადაგე და უთხრა მას ახალს მოსულსა: არ გაქვს შენ ნება ახალი აზრების ქადაგებისა, რამეთუ უწინ მე მომავლინა მამამან ჩემმან მარქსმა. მიუგო და რქვა მას ახალმა მოსულმა: ვიხილე მე 17 ოკტომბრის მანიფესტი თვითმპყრობლობისა, რომელიც ნებას აძლევს ყოველ მოქალაქეს თავისუფლად ლაპარაკისა, და თქვენ ვინ მოგცათ უფლება ამიკრძალოთ ლაპარაკი. სჩანს მოვლენილხარ თქვენ უსასტიკესი თვითმპყრობელად ჩვენში. ხალხმა დადართა თვისითა ერთ ხმათ აუწყა ახალ მოსულს— იქადაგე! აღიმალა ხმა ახლად მოსულმა და აუწყა სოფელს ძმობა, ერთობა და თანასწორობა. სოფელმა ერთ ხმათ მიიღო ახლად მოსულის ნამბობი. მას ეამსა შინა იგი ახლად მოსული მოქადაგე წავიდა დაბა ონში ახალი აზრების საქადაგებლათ, ონში იდგა მოხუცებული მოქადაგე სახელათ ვასილ. მოხუცებულს მას თავისი სიყმაწვილე გავტარებინა უსამართლოთა ბრძოლაში მაინც იგი არ მოლაღულიყო და ეხლაც აღიმალა ხმა ხალხისთვის ახალი აზრების საქადაგებლათ. აღვიდა იგი მოხუცებული ერთ მალლობ ადგილზე და აუწყა ხალხს, ძმობა, ერთობა და თანასწორობა. მუნ იდგა მრავალი ბავში, ბავშვებმა ჩაგონებითა უწინდელი მოქადაგისათა. მოძღვრებით მარქსისათა დაუყვირეს მოხუცებულს ძირს შენი ქადაგება! მოხუცებული იგი გადმოვიდა ადგილიდან, აღვიდა ადგილსა მასხედა მარქსისტი, რომელიც მოჰყვა თავისებურ ლათიებს და ანიამოვნა ბავშვები იგი, რომელნიც უძღვნიდენ მას ქებას და ვაშას. ბევრს ბავშვს შეამჩნიეს მუჭში კანფეტი დარიგებული მარქსისტისა, მაშინ სთქვა მოხუცებულმან— ამ ბავშვების ვაშას ბევრათ ვამჯობინებ ლანძღვას და მოშორდა ადგილსა მას.

რაჭველი შურდული.

მასპროვტი.

(„გურულ მჭედელს.“)

მართლა მჭედელი ყოფილხარ, შენი მარჯვენის ქირიმე!! შენ ნაწერი წავიკითხე და ვსთქვი გულში: „იმე, იმე!“

ვარლამ.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნიია.